



ალ. ასათიანი

მართველი ლეგიონების
შუბის წიგნი

1944 წ.



სტრ. საათიანი

ქართული ლექსების მც.

ზინაარსი ნიგნი

83

1. ქართველი ერის ახალი თაობა ეროვნული ბრძოლის ასპარეზზე 5
2. საქართველო და რუსეთის იმპერია ... 18
3. საქართველო და კომუნისტური რუსეთი 22
4. საქართველო და ევროპა, საქართველო და აღმოსავლეთი 25
5. საქართველო და ბერძანია 28
6. ომი და სოციალურ-პოლიტიკური სისტემები 33
7. ბრძნული აზრები: 38
 შოთა რუსთაველი, ს. ს. ორბელიანი, დ. გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე
8. ქართველ მებრძოლთა ლაშქრული ... 53
9. ისტორიული ცნობები 54
10. სტატისტიკური ცნობები ლოს შესახებ 54
11. ქართული კალენდარი ...





Druck: PK-Lehrdruckerei

ქართველი ერის ახალი თაობა ეროვნული ბრძოლის ასპარეზზე

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი წარსული აღ-
ვსილია ქართულ მიწა-წყლისა და ეროვნულ თავისუფ-
ლებისათვის გადახდილ ბრძოლებით, მამულიშვილუ-
რი თავგანწირულებითა და თავდადებით. საქართვე-
ლოს მიწა გაუღენთილია ქართველ გმირთა სისხლით.
მათი ძვლებით მოქედილია საქართველოს მთა და ბა-
რი. ამ ბრძოლათა და თავდადებათა ამბებით ამოვსე-
ბულია ჩვენი ისტორიის ფურცლები, ხალხური თქმუ-
ლებანი და მოგონებანი, ქართული გლოვა და ლხინი,
მათზე მეტყველებს ყოველი სულიერი და უსულო.
ჩვენი ქვეყნისა, მათზე ღალადებენ თვით ქვანი საქარ-
თველოისა.

აქ არის ჩვენი ეროვნული არსებობის საიდუმლოე-
ბათა გასაღები: უამრავი შემოსევა, უამრავი დაპურო-
ბა რომ გადაგვიტანია, მრავალჯერ წაქცეული, დაუ-
ძლურებული, რიცხვობრივად შემცირებული მუდამ
რომ ფეხზე წამომვდგარვართ, მოვმაგრებულვართ.
მოვშენებულვართ. დიდი ილია ქეშმარიტებას ბრძა-
ნებს, როდესაც შემდეგი სიტყვებით მიჰმართავს მშობ-
ღელ ერს: „სხვა რომელია ათას წელთ ბრძოლა მედგა-
რი გამოველოს და სრულიად მტვრად არ აღვილი-
ყოს? შენ ხარ, მარტო შენ! მაგალითი სხვა არსად არი,
რომ სხვა ქვეყანას, სხვა ერსა ეს შესძლებიყოს“.



ქართველი ერი დღესაც უმძიმეს ბრძოლაშია ჩაბ-
მული. ეს წელიწადია აწარმოებს ის ამ ბრძოლას ჩვეუ-



ლებრივის სიმტკიცითა და მხნეობით. და ეს ბრძოლა უფრო მძიმეა და გადამწყვეტი მისი ეროვნული არსებობისათვის, ვიდრე ყოველი სხვა ბრძოლა და ომი, წარსულში გადანახადი. მურვან ყრუთა, თემურ-ლენგთა და შაჰ-აბასთა შემოსევები და დაპყრობები მძიმე კრილობებს აყენებდენ ქართველ ერს, ასუსტებდენ და აუძლურებდენ მას ქონებრივად და უფლებრივად. ხოლო ეს არსად და არასოდეს ხილული ტირანია კომუნისტური რუსეთისა გვინადგურებს უფლებას და ღირსებას ეროვნულსა და პიროვნულს, რწმენას და სინიღისს, ოჯახს და საუკუნეთა მანძილზე შექმნილს სულიერი და ქონებრივი ცხოვრების ღირებულებებს, ყოველივეს, რაც შეიცავს ჩვენს ქართულ ბუნებას, ქართულ მეობას, ყოველივეს, რაც პირუტყვიდან გვანსხვავებს და ადამიანად გვხდის. ამ საშინელი ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი ერისა აღბეჭდილია სისხლიანი აჯანყებებით, სასახელო გპირობითა და თავდადებით. ათიათასობით საუკეთესო მამულიშვილები შეეწირენ ამ ბრძოლებს და დაიღუპენ ბრძოლის ველზე, ციხეებში და შორეულს ციმბირში.

*

ქართველი ერის ეს უთანასწორო ბრძოლის ხანა ამიერიდან დასრულებულია. კომუნისტური საშიშროების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომშია ჩაბმული მთელი ევროპა დიდი გერმანიის მეთაურობით. ბოლშევიკური მოსკოვი განწირულია. მას ვერ გადარჩენს საექვო მეგობრობა კაპიტალისტური ინგლისისა და ამერიკის, რომელნიც ასევე იბრძვიან ევროპის დაქცევისა და დამონებისათვის, რადგან გერმანიის მეთაურობით გაერთიანებული ევროპა საჭრთხეში აგდებს მათს ბატონობას აზიისა და აფრიკის ერებზე. დღეს ეს ერებიც ისხამენ იარაღს და გერმანიისა და

იაპონიის მეთაურობით იბრძვიან მსოფლიო პლუტო-
კრატისა და კომუნიზმის უღლისაგან განსათავისუფ-
ლებლად. მრავალ ასეულ მილიონიან ხალხთა ეს გი-
განტური ბრძოლა არ დამარცხდება, ის გაიმარჯვებს,
რადგან ეს ერები იბრძვიან თავის არსებობისათვის, ეს
ბრძოლა მათთვის ყოფნა-არყოფნისათვის ბრძოლაა.
ქართველი ერის ბრძოლაც ამიერიდან აქ თავსდება,
მისი მიზანი ამ ბუმბერაზ შეჯახების მიზანს უკავშირ-
დება. ხოლო ამ დიდი ომის დიდი მიზანია ერების გან-
თავისუფლება კომუნისტურ და კაპიტალისტურ ბა-
ტონობისაგან, მათი დამოუკიდებლობის აღდგენა და
საერთო ბრძოლითა და საერთო მსხვერპლით დაკავში-
რებულ და დამეგობრებულ ერთა ცხოვრების აშენება
ახალს, მტკიცე და სამართლიან საფუძვლებზე.

*

ქართველი ერის ბრძოლა კომუნისტური ტირანიის
წინააღმდეგ სხვა მხრივაც შეიცვალა. ბრძოლაში შე-
ვიდა მასსიურად ჩვენი ერის ახალი ფენა, მისი ახალ-
გაზრდობა. თაობა თაობას სცვლის, შვილები მამებს,
ეს ასე ყოფილა მუდამ და ასევე დარჩება. ხოლო ე-
ჩვეულებრივი მოვლენა ხალხთა ცხოვრებისა ამ უამად
უდიდეს რევოლუციად, უდიდეს გარდატეხად მოგვევ-
ლინა. ბევრნი ჰფიქრობდნენ შინ და გარედ, რომ ეს
ახალი თაობა ჩვენი ერისა სრულიად მოწყვეტილი
იყო თავის ეროვნულს სხეულს და თავის ეროვნულ
მისიის შესრულებისათვის არ გამოდგებოდა.

საქართველოს ისტორიის გრძელ გზაზე მრავალ
თაობას გაუვლია. ყველა მათ თავისი ადგილი ჰქონიათ,
თავისი ხვედრი და მოვალეობა, მოვალეობა და ტვირ-
თი ხშირად მეტად მძიმე და მეტად საპასუხისმგებლო.
მათ ეს ვალი გადაუხდიათ. ქვეყანა და ეროვნული არ-
სებობა შეუნახავთ და შემდეგ თაობებისათვის გადაუ-

ბარებიათ. მაგრამ წარსულში ყველა ეს თაობები აკვნიდან იწვრთნებოდნენ ასეთი დანიშნულებისათვის. მშობლიური კერა, სკოლა, ეკლესია, ნათესაობა და მეგობრობა, ძველ თაობათა მაგალითები, ისტორიით და ხალხურ თქმულებებით გადმოცემული, და საერთოდ ყოველივე სწავლა და ზნეობრივი აღზრდა მათ ამზადებდა ეროვნულს ცხოვრებაში თავის ადგილის დაკავებისათვის, ძველ თაობათა მემკვიდრეობის მიღებისათვის და მისი პატრონობისათვის.



სულ სხვა გვარი იყო ამ ახალი თაობის აღზრდა და გაწვრთნა. თვით მშობლიური იავნანაც არ ჰსმენია მას აკვანში ჩვეულებრივი და ბუნებრივი. სიყვარულის სიტკბოებით, იმედიანი და ბედნიერი სიხარულით აღსავსე ჰიშინი დედობრივი სიყვარულისა კომუნისტურმა ცხოვრებამ სევდის, შიშისა და მწუხარების ჰანგათ აქცია. ამ თაობას არ ახსოვს მშობლიური კერა მუდამ მომლიმარე და აღერსიანი. მის გარშემო ყოველივე, და თვით დედის აღერსიც მწუხარებას, უიმედობას და შიშს გამოასახავდა. მას არ უხილავს ქაბუკური ნებივრობა, უდარდელობა და სიხარულით აღსავსე სტუმრობა, მას არ უხილავს ზეიმი დღესასწაულისა და დღეობის, ეკლესია, მოძღვრის ქადაგი და გალობა, მის ახალგაზრდა სულს უხილავის ძალით წინაპართა სულს რომ გადააბამდა. მას არ განუცდია სარწმუნოებრივი თაყვანება წმინდა ნინოსა და თამარის მიმართ, აღფრთოვანება და სიამაყე რუსთველითა, ილიათი და აკაკით, საქართველოს გამირული და რაინდული წარსულით...

კომუნისტურ აღზრდას აკვნიდანვე უნდა ჩაეკლა და აღმოეფხვრა ახალგაზრდობის გულიდან ეს სამყარო ქართული იჯახის, ქართული დედა-შვილობის,

ქართულ და-ძმობის, ამხანაგობისა და მეგობრობის. ქართული ზრდილობისა, პატიოსნობისა და რაინდობის სამყარო... ამის ნაცვლად მის გულში უნდა დაენერგათ და აღეზარდათ სიყვარული ძალ-მომრეობისა, ძარცვა გლეჯისა და რბევისა, გაუტანლობისა და გაიძვერობის. მშობლებისადმი და თავის ერისადმი სიყვარულის ადგილი მათს გულში უნდა დაეკავა სიყვარულს და თაყვანებას მსოფლიო პროლეტარიატისა და კომუნისტურ პარტიისა. საქართველოს წარსული, მრავალსაუკუნეთა ანდერძი და მემკვიდრეობა სრულიად უნდა წარხოცილიყო ამ თაობის ბუნებიდან...



ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებში აღიზარდა ერთი ქართული თაობა ბავშვობიდან და მეორე კიდევ აკვნიდან. კომუნისტებს მიღწეულად მიაჩნდათ თავისი მიზანი — ორი თაობა მოწყვეტილი იყო ეროვნულ სხეულს. საქართველოს ისტორიის გრძელი ჯაჭვი გაწყვეტილი იყო: ქართველობა, როგორც ერთი შქრებოდა და მის ადგილს იკავებდა ეროვნულ ბუნებასა და სახიერებას მოკლებული ხალხი, ჯერ კიდევ ქართულად მოლაპარაკე, მაგრამ უკვე შემზადებული სხვა. ასევე ნაწამებ ხალხებში ასათქვეფად და მათთან ერთად ახალი რასის, კომუნისტური რასის შესაქმნელად. მარქსისტული ინტერნაციონალი საზეიმოთ ემზადებოდა. მას უნდა დაერწმუნებინა მთელი კაცობრიობა, რომ მან უკვე დაასრულა მსოფლიოს ერთი მეექვსედის სივრცეზე ერთა ცხოვრების და მთელი მათი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გადაყირავება და გადაბრუნება. ასეთი უმაგალითო მიღწევების საყოველთაოდ გამომწეურების შესაძლებლობაც დაისახა.

1941 წლის ზაფხულს დიდი გერმანია და ევროპის სხვა ერები ომს უცხადებენ კომუნისტურ რუსეთს, რომელიც მათაც იმასვე უმზადებდა, რაც მან უყო საქართველოს და საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებს. კომუნისტური სამოთხის დასაცავად მის მიერ აღწრდილი და გაწვრთნილი თაობები ბრძოლის ველზე გავიდნენ. ეს საბჭოთა მოქალაქე, საბჭოთა ადამიანი, ახალი კომუნისტური რასა — მოწოდებულ იქმნა კომუნისტურ სამშობლოსათვის თავის გასაწირავად. და ეს მან არ ისურვა. მარქსისტულ ინტერნაციონალის, ჩეკისა და კოლხოზებისათვის სისხლის დაღვრა არავინ მოინდომა. ოთხი თვის მანძილზე ოთხი მილიონი წითელარმიელი „სისხლის მსმელ“ ჰიტლერის გერმანიის ბანაკებში მოექცა. ეს იყო უდიდესი რევოლუცია, უდიდესი კატასტროფა კომუნისტური იდეისა, კომუნისტური აღწრდისა, კომუნისტური სისტემისა. რასაკვირველია, კომუნისტების მიერ აღწრდილს თაობაში ბევრი აღმოჩნდა გაბრუებული და დაბრმავებული საბჭოთა პროპაგანდით, ბევრმა კიდევ ვერ მოახერხა პოლიტრუკების ტერორის ხელიდან დასხლტომა, და ესენი იბრძოდნენ და დღესაც იბრძვიან, მაგრამ ასეთებიც იბრძვიან იძულებითა და შიშის ქვეშ და იმედით, რომ ეს რეჟიმი ვერ გადაიტანს ამ საშინელს ომს და მის მიერ გამოწვეულს ნანგრევებში დაიშრება.

*

ასეთი მოვლენა სასწაულად მოეჩვენება მხოლოდ იმას, ვისაც არ აქვს შეგნებული ეროვნული ბუნების ძალა და სიმტკიცე. ოცი წლის კომუნისტურმა ისტორიამ ვერ გააუქმა საქართველოს ოცი საუკუნის მატიაწე. პარტიულ იაჩიკამ და ჩეკამ ვერ მოიპოვეს ერის ცხოვრებაში ოჯახისა და კერის მნიშვნელობა. მარქსმა ვერ განდევნა ერის გულიდან რუსთაველი და კოლონ-

ტაიმ — წმინდა ნინო და თამარი. ვერავითარ ძალამ, ვერავითარ ჩეკამ ვერ მოახერხა მოწარდ თაობათა სრულიად მოშორება, გამოყოფა და იზოლიაცია ამ ქართულ ეროვნულ სამყაროსაგან. შორეულ წინაპართაგან მომდინარე სისხლითა და დედის რძით შეჭრილი იყო ამ ახალი თაობის არსებაში ქართული ბუნების უმთავრესი თვისებანი. მშობლიურს კერაზე, შინ და გარეთ ყოველივე იყო გაუღენთილი ეროვნული სულისკვეთებით, ეროვნული განცდებით. ამ წმინდათა წმინდა გრძნობების მხეცური ზომებით დახშვა ყრუ წინააღმდეგობას იწვევდა ახალ თაობის გულში. ახალგაზრდობის სულში ღრმად იჭრებოდა ამ საშინელ ტირანის წინააღმდეგ წარმოებულ სისხლიან ბრძოლათა ამბები, იქ იბუღებდა და ბუუტავდა ვით ფერფლ გადაყრილი ნაკვერცხალი. ეროვნულ ბრძოლის ცეცხლი ზშირად ამ ახალ თაობის ნორჩ გულსაც სწვდებოდა. აანთებდა მას და უფროს თაობათა ბრძოლის ცეცხლს შეუერთებდა. და როდესაც ეს თაობა იარაღსხმული დაუდგა წინ ევროპის ლაშქრებს, ეროვნული დროშის ქვეშ და ეროვნული იდეალებისათვის მებრძოლთ, და მათს რიგებში მან დაინახა თავისი უფროსი ძმები, რომლებიც 20 წლის მანძილზე ებრძოდნენ კომუნისტურ ბატონობას საქართველოზე, მოხდა ის, რაც აუცილებლივ უნდა მომხდარიყო — ქართველ ახალგაზრდობამ პირი იბრუნა, უფროს მოძმეებს ამოუდგა გვერდში და მათთან ერთად ევროპის ერთა ბრძოლის ფრონტზე ქართველი ერის სამოქმედო ბრძოლის ახპარეზი შემოფარგლა და მის სადარაჯოზე დადგა.



საქართველოს მრავალსაუკუნოვან წარსულის მანძილზე არც ერთი სხვა თაობა არ მისულა თავის მამუ-

ლიშვილურ მოვალეობის მოსახდელ ბრძოლის ასპარეზზე ისეთი ტანჯვისა და წამების გზით, როგორც ეს ახალი თაობა. მან განვლო გზები კომუნისტური ჯოჯოხეთისა, კომუნისტური ომისა, სადაც ადამიანი ერთ ფარადაც არ ფასობს და მძიმე ტყვეობა. ამიერიდან მას უხდება ზიდოს ეროვნული მოვალეობა და პასუხისმგებლობა, ასევე გაცილებით უფრო რთული და მძიმე, ვიდრე ეს უხილავს რომელიმე სხვა თაობას ჩვენი ერისა.

საქართველოს წინაშე დგას ყოფნა არ ყოფნის საკითხი ისე მძაფრად, როგორც არასოდეს. ეს უმაგალითო ომი სრულიად განადგურებით ემუქრება დიდსა და პატარა ერებს, ვინც საკმაო სიმტკიცეს, მხნეობას, გამირობასა და გამჭკრიახობას ვერ გამოიჩინეს. ეს ომი სწყვეტს აგრეთვე მრავალი ათეული წლით საკითხს იმის შესახებ, თუ რომელ ერს, როგორი ადგილი მიეკუთვნება ხალხთა მომავალს ცხოვრებაში, როგორი პირობები დაუმკვიდრდება თავის ეროვნულ ცხოვრების აღდგენისა და განვითარებისათვის. ყოველივე ეს გადაწყდება არა იმის მიხედვით, თუ როგორი იყო ქართველი ერი თამარ მეფის დროს. არამედ — თუ რას წარმოადგენს ის ამჟამად. ევროპისა და წინა აზიის ერები ერთი პოლიტიკური და ეკონომიური კავშირის შესაქმნელად მუშაობენ. შორეულ აზიის ქვეყნებიც ასევე ეწყობიან. ამერიკის ქვეყნებიც ამ გზით მიდიან. ამის მიხედვით ამა თუ იმ ერის დამოუკიდებლობის ცნობა ამიერიდან მოასწავებს მის ერის საერთო ოჯახის წევრად მიღებას, სხვა ერების მიერ მოკავშირეთა და მეგობრად მიჩნევას. წარსულში ეს უფრო ადვილი საქმე იყო. ამა თუ იმ ერის დამოუკიდებლობის ცნობა არავის არ აკისრებდა მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას. ამის მიხედვით, არ არის გა-

საკვირველი, უკეთეს საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნების შესახებ გერმანიასა და ევროპას თავიდანვე გადაქრილი გეგმა არ ჰქონდათ. როდესაც რომელიმე ქვეყანაში ქირი გაჩნდება, სხვა ქვეყნები მასთან ურთიერთობას ერიდებიან, სანამ ეს სენი არ მოიხსობა. ასეთ ქირად იყო მიჩნეული კომუნისტური რეჟიმი და სხვა ერები ადვილად ვერ სჭრიდენ საკითხს იმ ერთა შესახებ, რომელნიც ათეულ წელთა მანძილზე განიცდიდენ ამ საშინელს სენს. კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ ეს ერები თავიდანვე შესძლებენ თავის ცხოვრების აშენებას, ისე, როგორც სხვა წევრები ხალხთა ოჯახისა, თუ მას დასჭირდება კიდევ დრო კომუნისტური სენისაგან სავსებით განსათავისუფლებლად?

ყველა ამ კითხვებზე ქართველი ერის სახელით პასუხი უნდა გასცეს მისმა ახალმა თაობამ, ვინაიდან ის არის ის ძალა, რომელმაც უნდა იბრძოლოს საქართველოსათვის და შემდეგ უნდა აღადგინოს და ააშენოს კომუნისტური რეჟიმისაგან განადგურებული ეროვნული ცხოვრება.



ქართველი ერის ახალმა თაობამ უკვე სთქვა თავისი სიტყვა და მშობელ ერის სახელით პასუხი გასცა საქართველოს წინაშე წამოქრილ უმთავრეს კითხვებს. მრავალი ათასი მუშაობენ მათგან ფიზიკური და გონებრივი შრომის სარბიელზე და ყველგან სათანადო უნარსა და ბეჯითობას იჩენენ. მაგრამ ხალხთა ცხოვრებაში ყველაზე უფრო მძიმე გამოცდა ბრძოლის ველია და ბრძოლის საქმე. თავის ისტორიის მანძილზე ქართველებს თითქმის მსოფლიო ისტორიაში ცნობილს ყველა დიდს არმიებში მიუღიათ მონაწილეობა

და ყოველთვის საუკეთესო მეომრების სახელი მოუხვეჭიათ. დღეს ქართველები იბრძვიან უშესანიშნავეს არმიაში, რომლის ბადალი არ უხილავს მსოფლიო ისტორიას. ასეთს ლაშქარში შენარჩუნება ძველი სახელის იყო ფრიად მძიმე ამოცანა. დღეს ესეც მიღწეულია. ქართულ ლეგიონებმა მოუპოვეს თავის ერს ეს უმაღლესი მხედრული სახელი და ღირსება კავკასიისა და ყირიმის სახელოვანს ბრძოლებში. პერეკოპის გამორებმა აამაღლეს არა მარტო ქართული მხედრული ღირსება, არამედ საერთოდ ჩვენი ეროვნული მეობა და ეროვნული დროშა. ეს არსებითად სწყვეტს საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად სასურველ წევრად იქნება მიჩნეული ჩვენი ერი ევროპის ხალხთა ოჯახში და თუ როგორი ადგილი დაეთმოება მას მომავალ ევროპის გაერთიანებაში.

*

ქართველი ერის ახალ თაობას უფლება აქვს იამაყოს ევროპის ერებთან მისი შეყრის ასეთი შედეგებით. ბუნებრივი ამბიციია მისთვის ამ მიღწევის კიდევ უფრო განმტკიცებისა და ამაღლების სურვილი. ხოლო არასოდეს არ არის მხედველობიდან გასაშვები მეორე შესაძლებლობაც — მიღწეულ გამარჯვებათა დამდარებისა და დაქვეითების შესაძლებლობა. ჩვენი მტრები ამისთვის მუშაობას არასოდეს დაიწარებენ. ისინი მონდომებენ ქართველ ლეგიონერთა შორის სულიერი სიმტკიცის გაზარდას, იქვებისა და უიმედობის გრძნობების დათესვით, ყალბ ილიუზიებისა და ყალბ იმედების დასახვით. მათ მიერ გამოყენებულ იქნება სამხედრო ოპერაციების დროებითი ცვალებადობები და თვით ლეგიონერთა ცხოვრების წვრილმანი ნაკლები და წვრილმანი გაუგებრობანი. ჩვენი მტრების ასეთი მუშაობა, რომელიც მრავალ ნაირ სამოსელში იქ-

ნება გახვეული, შესაძლოა იდეურ და პატრიოტულ სამოსელშიაც, ერთნაირად საზიანოა და სახიფათო როგორც ჩვენი ეროვნული მომავლისათვის, ასევე თვითეული ლეგიონერის პიროვნული არსებობისათვის. ასეთი მზაკვრული მუშაობის საწინააღმდეგო, ყველაზე საიმედო და მკვეთრი იარაღია ქართველ ლეგიონერთა შორის მკაფიო, გარკვეული და მტკიცედ ჩამოყალიბებული აზროვნებისა და მორალის და მყარება მათს წინაშე მდგარ ყველა უმთავრეს საკითხებზე. ეს უნდა მოხდეს ერთმანეთზე შეგავლენით, ერთმანეთში მეგობრული, კოლექტიური სულისკვეთების დამყარებით. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება თვითეულ ლეგიონერის იდეისა და მორალის დაცვა და მისი აყვანა ისეთს სიმაღლეზე, რომელიც უპასუხებს ჩვენს ეროვნულ მიზნებსა და ქართველ ლეგიონერთა პიროვნულ ინტერესებს, ქართულს ზნეობას და ქართულს ღირსებას.

*

საბედნიეროდ, ჩვენი მტრების ბოროტ მუშაობას მნიშვნელოვანი ნაყოფი არ გამოუღია. თითებზე ჩამოივლებოდა ისეთები, რომლებიც გაებნენ მათთვის დაგებული მახეში. ისინი დააჯერეს, რომ მათთვის უფრო საიმედოა და სასარგებლო მეგობრობისა და ფიცის გატება და მტრის ბანაკში გადასვლა. მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ ეს გზა, ეროვნული ინტერესები რომ დავივიწყოთ, უფრო სახიფათოა და საშიში მათი არსებობისათვის, ვიდრე საქართველოსათვის ბრძოლის ასპარეზი და დიდი გერმანიის ლაშქარში კარგი ჯარისკაცის მდგომარეობა. აქ ყოველი კარგი ჯარისკაცი დიდათ ფასობს, დაზოგვილია და მოვლილი, ხოლო მტრებისაკენ მიმავალი ყველა გზები არიან გზები ხი-

ფათითა და უნდობლობით აღვსილი. უკეთეს შემთხვევაში ეს იქნება კვლავ გადაქცევა ჯარისკაცად ისეთი არმიისა, სადაც აღამიანის სიცოცხლეს არავითარი ფასი და ღირებულება არ აქვს. მზაკვრულ მუშაობის მანქარაობებელნი თავის ბოროტ ზრახვებს უმალლესი მორალითაც ასაბუთებენ: ქართველი ერის ერთი ნაწილი ამ ფრონტზეა და მეორე — საწინააღმდეგო ბანაკში. ეს არის ძმა ძმის წინააღმდეგ ბრძოლა. მათ კარგად უწყვიან, რომ ერთა უცხო მონობისაგან განთავისუფლება ხშირად მხოლოდ ასეთი გზით ხერხდება, და საქართველოს ისტორია აღვსილია ასეთი მაგალითებით. ქართველი ერისთვის ეს ბრძოლა გადამწყვეტი და ყოფნა-არყოფნისთვის ბრძოლაა. გაცილებით უფრო მსუბუქი პრობლემები სდგას გადასაქრელად სხვა ერების წინაშე და, მიუხედავად ამისა, მრავალი დიდი და მცირე ერის შვილები იბრძვიან ორს ბანაკში. ასეთია დიდი საფრანგეთის, იტალიის, ინდოეთის, ჩინეთის, არაბებისა და მრავალ სხ. ერთა მაგალითები. ქართველი ერის მდგომარეობა კიდევ იმით განსხვავდება, რომ ის მთელი არსებით, მთელი თავისი სურვილითა და რწმენით იმყოფება იმ ერთა შორის, რომელნიც ებრძვიან საშინელ კომუნისტურ ტირანიას, ხოლო ქართველობის უმრავლესობა საბჭოთა საპრობილემო მოქცეული და მით მოკლებულია საშუალებას მთლიანად ჩაღვეს მათს რიგებში.



ქართველ ლეგიონერის უბის წიგნი მიზნად ისახავს პასუხი გასცეს ჩვენი ერის წინაშე მდგარ საკითხებს საერთო და უდავო ეროვნული აზროვნების თვალსაზრისითა და დაფასებით. უბის წიგნი, რასაკვირველია, იძლევა მხოლოდ ჩონჩხს ასეთი აზროვნებისათვის.

თვითეულმა მკითხველმა ხორცი უნდა შეასხას მას თავის ნააზრებით, თავის ნაფიქრებით, გაგონილ და ნახულ მაგალითებით. ასეთი გზით ქართველი ლეგიონერი სავსებით მოექცევა ქართველი ერის მრავალ-საუკუნოვან იდეურ და ზნეობრივ სამყაროში და იქ აღიჭურვება ისეთი იარაღით და ისეთი საზომით, რომელიც გამოადგება ცხოვრებაში მის წინაშე წამოჭრილ საკითხებისა და ინტერესების განსაზომად და გადასაჭრელად.

✓ მსოფლიო ისტორიის მანძილზე ორი უდიდესი ჯარის მეთაურნი — ნაპოლეონი და ადოლფ ჰიტლერი ერთსა და იმავე აზრს გამოსთქვამენ იდეისა და მორალის მნიშვნელობაზე. ის არის საფუძველი ერთა ცხოვრების და უფრო მძლავრი იარაღი. ვიდრე მახვილი ჩვენ, ქართველები, ფიზიკურად მუდამ სუსტი ვიყავით ჩვენს წინაშე მდგარ დიდი ამოცანების გადასაჭრელად და მისაღწევად. სულიერი ძალის იარაღი მუდამ ერთი ათად აძლიერებდა ქართველთა მახვილის ძალას. დღესაც ამ ყოფაში ვართ. ერთს ათის მაგიერობა გვიხდება ბრძოლის საქმეში და ასევე დაგვიჭირდება შრომისა და მოქმედების დარგში. მხოლოდ იდეური და მორალური სიმტკიცე მოგვცემს ამ ჩვენს ძალთა გაათქეცებას. ჩვენ ამისთვის უნდა ვიზრუნოთ, ამისთვის უნდა ვიმუშაოთ.





საქართველო და რუსეთის იმპერია

25 საუკუნის მანძილზე საქართველოს ისტორია აღვსილია უამრავი შემოსევებით, ქვეყნის რბევითა და განადგურებით, ხოლო საქართველოს სამეფოს უკანასკნელი ექვსი საუკუნე წარმოადგენდა განუწყვეტელ ომს, ხალხის ჟლეტასა და ქვეყნის აოხრებას.

საქართველო დასუსტდა და სისხლიდან დაიკალა. მან დაჰკარგა თავის ტერიტორიის დიდი ნაწილი და მოსახლეობის ოთხი მეხუთედი. მიუხედავად მრავალი ცდისა, საქართველოს მეფეებმა ვერ მოიპოვეს ევროპის ქვეყნების დახმარება და მფარველობა. ბიზანტიის წაქცევის შემდეგ საქართველო მოწყვეტილი იყო და სავლეთს და ასეთი დახმარების მიღება არც იყო აღვილი. ამავდროს „ერთმორწმუნე“ რუსეთი სამხრეთით იწევდა და კავკასიას უახლოვდებოდა. ის თვითონ სცდილობდა საქართველოს დაახლოვებას და მის გამოყენებას თავის მიზნებისათვის. რუსეთი მას ჰპირდებოდა ყოველგვარ დახმარებასა და დაცვას, უკეთეს იმ მიიღებდა რუსეთის მფარველობას. 1783 წელს მეფე ირაკლი II და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინემ ამ საგანზე ხელშეკრულება დასდვეს. ამ ტრაქტატის ძალით საქართველო შედის რუსეთის მფარველობის ქვეშ. საქართველო სრულიად დამოუკიდებელი უნდა დარჩენილიყო თავის შინაურ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ხოლო რუსეთი აღუთქვამდა მას დაცვას მისი ტერიტორიისა და დაკარგული ნაწილების დაბრუნებას.

რუსეთის იმპერიას არ შეუსრულებია არც ერთი მუხლი საქართველოსთან დადებული ტრაქტატისა და ოცი წელიც არ გასულა, რომ მან სრულიად მოხპო საქართველო, როგორც სახელმწიფო და სამეფო გვარე-

ულობა ბაგრატიონებისა რუსეთში გადაასახლა, გააუქმა დამოუკიდებლობა უძველესი ივერიის ეკლესიისა და ის რუსულ სინოდს დაუქვემდებარა. ასევე მოსპო მან ქართული მმართველობა, ქართული სასამართლო და ქართული სკოლა. ამ სახით „ერთმორწმუნე“ რუსეთმა გაუნადგურა საქართველოს 20 საუკუნოვანი სამეფო და ეროვნული ცხოვრების უმთავრესი საფუძვლები, რომელნიც გადაურჩენ თემურლენგებისა, მურვან-ყრუების და შაჰ-აბასების აურაცხელ შემოსევებს...

საქართველო დაუძლურებული იყო და სისხლიდან დაცლილი, მაგრამ ის მაინც არ შეურიგდა რუსეთის ასეთს მჯაკვრობას. ალექსანდრე ბატონიშვილისა და იმერეთის მეფის, სოლომონ II მეთაურობით ჩვენმა ერმა მრავალი ბრძოლა გადაიხადა თავის ეროვნული არსებობის დაცვისათვის. სისხლიან აჯანყებებს ჰქონდა ადგილი მთიულეთში, კახეთში და იმერეთში (1804, 1812, 1820) და დიდს შეთქმულობას რუსეთის წინააღმდეგ 1832 წ. შემდეგ ასევე იარაღით შეებრძოლა რუსეთის გაბატონებას ჩვენში გურია, სამეგრელო, აფხაზეთი და სვანეთი. ეს განცალკევებული ბრძოლები დიდი იმპერიის წინააღმდეგ დამარცხებით დასრულდა.

ამის შემდეგ ქართული ეროვნული ბრძოლა გეზიცვლის. ჩვენი ერის საუკეთესო ძალები ირაზმებიან ლეგალური ბრძოლის ნიადაგზე. ამ გზით ებრძვიან ისინი რუსეთის კოლონიალურსა და რუსიფიკატორულ პოლიტიკას და ჩვენი ქვეყნის კოლონიზაციას. ისინი იცავენ და ამაგრებენ ქართულ ეკლესიას, ქართულ სკოლას, ქართულ ეკონომიურ ცხოვრებას, აფუძნებენ დიდს მუშაობას მეცნიერების, მწერლობისა და ხელოვნების დარგში, ამუშავენ და ჰქმნიან ახალი ვითარების შესაფერისს ეროვნულ იდეოლოგიას, იდეურად

რწვთნიან და რაზმავენ ერს და მით ნიადაგს უმზადე
ბენ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის
საქმეს. დაშლილ და წაქცეულ ეროვნული ცხოვრების
აღდგენისათვის მუშაობა ნამდვილ ეროვნულ აღორძინების
სახეს ლეზულობს სახელოვან მესამოციანთა და-
სის მოღვაწეობის დროს. მას მეთაურობს ჩვენი ერის
მიერ უგვირგვინო მეფედ წოდებული დიდი ილია
ქავჭავაძე.

დაუდგა განკითხვის უამი რუსეთის იმპერიას და
მის უხეშ იმპერიალისტურ პოლიტიკას. მსოფლიო
ომისა და 1917 წლის რევოლუციის შედეგად დაემხო
რომანოვების ტახტი და მისი ადგილი მარქსისტულმა
ინტერნაციონალმა დაიკავა. 1918 წლის 26 მაისს სა-
ქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და შეუდ-
გა თავის სახელმწიფოებრივი ცხოვრების მშენებლო-
ბას. ამავე გზას დაადგენ კავკასიის სხვა ერები, ფინ-
ლიანდია, უკრაინა, ბალტიის ქვეყნები და თურქესტა-
ნი. რუსეთი სამოქალაქო ბრძოლის ასპარეზად იყო
გადაქცეული და კომუნისტური ძალა-უფლება ვერ
გრძნობდა თავს საკმარისად ძლიერად რუსეთიდან ჩა-
მოშორებულ ქვეყნების წინააღმდეგ იარაღით გალაშ-
ქრებისათვის. ამავე დროს ის შიშობდა, რომ ეს გამო-
იწვევდა მის წინააღმდეგ ევროპის ქვეყნების ამხედრე-
ბას და ინტერვენციას. მაგრამ ინგლისმა გაანთავისუფ-
ლა ბოლშევიკური რუსეთი ასეთი შიშისაგან. მან ამ-
ცნო საბჭოთა კავშირს, რომ ინგლისი საქართველოს
და კავკასიას რუსეთის ნაწილად სთვლის და არ ეწი-
ნააღმდეგება მოსკოვის ინტერესებს კავკასიაში. ამის

სასყიდლოდ ინგლისმა მიიღო ხელსაყრელს ფასებში
ბაქოს ნავთის შექმნის საშუალება. ამით გათამამებუ-
ლი და ხელ-გახსნილი ბოლშევიკური რუსეთი შეესია
კავკასიას და დაიპყრო ჩრდილო კავკასია, აჭერბაიჯა-
ნი, სომხეთი და, შემდეგ, 1921 წ., საქართველო. რუ-
სეთმა კვლავ დაამხო საქართველოს დამოუკიდებლო-
ბა, რომლის აღდგენა ფრიად ხელსაყრელ პირობებში
მოხდა. რუსეთი სამოქალაქო ომში იყო გახვეული, ხო-
ლო სამხრეთის მეზობლები დიდათ იყვენ დაინტერე-
სებული კავკასიის რუსეთიდან ჩამოშორებით და მისი
დამოუკიდებელი არსებობით. ევროპის ქვეყნებმაც
იტყნეს კავკასიის ერთა დამოუკიდებლობა და მათთან
მტკიცე ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობის
დამყარებას ცდილობდენ. საუბედუროდ, ჩვენმა ერმა
ვერ გამოიყენა ასეთი პირობები. ათეულ წელთა მან-
შილზე ის განიცდიდა რუსეთის რევოლუციონურ მო-
ძრაობათა გავლენას, და კლასთა ბრძოლის მარქსი-
სტულ საფუძვლებზე ეროვნული ცხოვრების აღდგენა
და დამკვიდრება, რასაკვირველია, ვერ მოხერხდებო-
და. ასეთი გავლენისაგან ჩვენი ერის განთავისუფლება
და მით მისი გაჯანსაღება სწრაფის ნაბიჯით მიდიოდა
წინ, მაგრამ კომუნისტური რუსეთი ამას სდარაჯობდა.
მან კარგად იცოდა, რომ ვერ შესძლებდა მტკიცედ
ფეხზედ დადგომას, უკეთუ არ დაიბრუნებდა კავკასიას
და მის ნავთს, რასაც მან მიაღწია საქართველოს წაქცე-
ვით, 1921 წელს.



საქართველო და კომუნისტური რუსეთი

1920 წ. მაისში საბჭოთა კავშირმა იცნო დამოუკიდებელი საქართველო და მასთან ხელშეკრულობასაც მოაწერა ხელი. მეფის რუსეთმა 18 წლის შემდეგ დაარღვია საქართველოსთან დადებული ტრაქტატი, ხოლო ბოლშევიკური რუსეთი უკვე მერვე თვეში შეესია საქართველოს ხუთის მიმართულებით. კავკასიის სხვა ქვეყნები უკვე დაკავებული ჰქონდა მას და საქართველომ ვერ შესძლო შემოსეული მტრის გამკლავება. ერთა თავისუფლებისა და თვითგამორკვევის მებაირახტრე ბოლშევიკურმა მოსკოვმა სხვა მხრივაც გადააქარბა დიდათ ძველს რუსეთს. ის არ დაკმაყოფილდა მმართველობის ხელში აღებითა და საქართველოს საბჭოთა კავშირის ფარგლებში მოქცევით. მან მოსპო ქართული ადმინისტრაცია, ქართული სასამართლო და მათ ნაცვლად გნუკითხავი შურისძიებისა და თვითნებობის ორგანოები დააფუძნა. მან გაანადგურა ეკლესია, დაანგრია ტაძრები და ადამიანის შინაგანი რწმენა უდიდეს ბოროტებადა და დანაშაულად გამოაცხადა.

საბჭოთა რუსეთმა დაუნგრია ქართველ ერს ეროვნული ცხოვრების მთავარი ბოძი — ოჯახი; ძმა ძმას აუმხედრა და შვილები — მშობლებს. ვითომდა მშრომელთათვის სამოთხისა და ბედნიერების დამყარებისათვის მებრძოლმა კომუნისტებმა მთელი მიწა და ყოველივე ქონება ჩამოართვა მშრომელ გლეხობას და ის სახელმწიფოს, ე. ი. კომუნისტური მეთაურობის საკუთრებად გამოაცხადა, ხოლო გლეხობა გაყვლიფა, გაალატაკა და, როგორც მონები, კოლმეურნეობებში შერეკა.

ეგვიპტის ფარაონების შემდეგ არც ერთს ქვეყანაში, არც ერთს წყობაში არავის დაუმყარებია ისეთი განუკითხავი ექსპლოატაცია შრომისა, ისეთი დამონება მშრომელისა, როგორც ეს დაფუძნდა კომუნისტური რუსეთის სივრცეზე. არც ერთი დესპოტიის დროს არ ყოფილა ადამიანის პიროვნება ისე განიავებული და ადამიანის სიცოცხლე ყოველგვარ ღირებულებას მოკლებული, როგორც ეს იყო და არის მარქსისტულ სამოთხეში.

ბოლშევიკური წყობა, პოლიტიკური და სოციალური სისტემა, არის გენიალურად მოფიქრებული და შედგენილი გეგმა, რომელიც ისახავს მიზნად წაართვას ადამიანს ყოველივე ადამიანური თვისება, ამუშაოს ის როგორც პირუტყვი და აბრძოლოს, სისხლი აღვრევინოს ყოველგან და ყოველთვის, როგორც ამას საჭიროდ დაინახავს კომუნისტური მეთაურობა. ამის ერთერთი შედეგი ის არის, რომ რუსეთი, მთელს მსოფლიოში უმდიდრესი ქვეყანა, კომუნისტური წყობის ხანაში დამშეულია და მოკლებული აუცილებელი საჭიროების საგნებს, ხოლო დრო და დრო ნამდვილ სიმშილს განიცდის, რომლის დროს ადამიანი ადამიანზე ნადირობს და მისი ხორცი იკვებება.

40 მილიონამდე ადამიანი იმსხვერპლა საბჭოთა კავშირში სიმშილმა, ჩეკამ და საკონცენტრაციო ბანაკებმა, და ამ რიცხვიდან ცხრა მეთაედი გლეხი და მუშაა. ამ რიცხვს უთუოდ გააორკეცებს ველური, ადამიანის სიცოცხლის დაუზოგავი ბოლშევიკური მეთოდი ეხლანდელი ომისა.

საქართველოს მრავალჯერ უხილავს უცხო ძალის შემოქრა და ქვეყნის აოხრება, მაგრამ ამის მსგავსი — არასოდეს. საქართველო, რასაკვირველია, უბრძოლვე-

ლად ვერ დაჰნებდებოდა, როდესაც მას მოეველინა ისეთი ძალა, რომელიც უნადგურებდა მას პოლიტიკური, ეკონომიური და მორალური ცხოვრების ყველა საფუძვლებს. 1921 წელს დიდს აჯანყებას ჰქონდა ადგილი სვანეთში, 1922 წელს — კახეთში და ხევსურეთში და 1924 — მთელს საქართველოში. კოლხოზების შემოღებამ სისხლიანი ბრძოლები გამოიწვია საქართველოს მრავალს კუთხეში. შეიარაღებულ ბრძოლასთან ერთად ჩვენი ერი აწარმოებდა პასიურ წინააღმდეგობას და ენერგიულ ბრძოლასაც ლეგალურს ფარგლებში. ის ამ გზასაც იყენებდა თავის ცხოვრებისა და არსებობის დასაცავად. ერთი სიტყვით კომუნისტურ ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველმა ერმა გამოიყენა ყველა მეთოდები ბრძოლისა, რომელიც მას წარსულში ჰქონდა ნაცადი.

ჩვენმა ერმა ფრიად მძიმე მსხვერპლი გაიღო 23 წლის მანძილზე წარმოებულს ბრძოლებში. 7 გენერალი, რამოდენიმე ასეული ოფიცერი, მრავალი სამღვდელეობა, მეცნიერი და მწერალი და მრავალი ათასი გლეხი და მუშა სიკვდილით იქმნენ დასჯილნი და მრავალი ათასი რჩეული ქართველობა დაიღუპა სოლოვკასა, ციმბირსა და საკონცენტრაციო ბანაკებში.

ამიერიდან ამ საშინელს ბოლშევიკურ ტირანიასთან ბრძოლა გიგანტურ ხასიათს ღებულობს. მის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომს აწარმოებენ ევროპის ერები დიდი გერმანიის მეთაურობით. კომუნისტური მტარვალობის დღეები დათვლილია, მის მიერ დამონებულ ერების განთავისუფლების საათი მოახლოვებულია.



საქართველო და ევროპა, საქართველო და აღმოსავლეთი

საუკუნეთა მანძილზე საქართველო წარმოადგენდა ჯგებირს, რომელიც აჩერებდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმართულ მძლავრ შემოსევებსა და ლაშქრობებს. საქართველომ მრავალი სახიფათო შესევისაგან გადაარჩინა ევროპა თავის მუდმივი ბრძოლებით აღმოსავლეთ-დასავლეთის შემაერთებელ კავკასიის ხიდზედ. ~~დავით აღმაშენებლის მიერ თურქ-სელჯუკების დიდი ლაშქრობის განადგურება უფრო ცნობილია, მაგრამ მრავალი სხვა შემოსევაც შეიძლება და გამხდარიყო სახიფათო ევროპის ქვეყნებისათვის, რომ მათი ტალღები კავკასიაში აღმართულ ჯებირს არ შეეკავებინა.~~

საუკუნეთა მანძილზე წარმოებულ მუდმივმა ომებმა დაასუსტა ჩვენი ერი. ამის შედეგათ საქართველომ 20 საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი არსებობაც დაშკარგა. წარსულში ევროპამ ვერავითარი რეალური დახმარება ვერ აღმოუჩინა მის შესავალ კარებთან მუდმივად სადარაჯოზედ მდგომ ქართველ ერს. განგების ნებით სამაგიეროს გადახდის დრო დადვა. დღეს მთელი ევროპაა ჩაბმული იმ ბრძოლაში, რომელსაც ქართველი ერი აწარმოებდა 23 წლის მანძილზე. ჩვენი ერი იყო თაოსანი საბჭოთა ტირანიასთან შეურიგებელი ბრძოლისა. ის მას აწარმოებდა შეუწყვეტლივ და ყველა საშინაო და საგარეო პოზიციებზე. სტალინის ტირანიას არსად სხვაგან არ დახვედრია ასე ერთსულოვანი და შეურიგებელი ბრძოლა და წინააღმდეგო-

ბა. ამჟამად კომუნისტური ტირანიის დამხობისათვის წარმოებულს ბრძოლაში ჩაბმულია მთელი ევროპა. ამ ტიტანიურ ბრძოლაზეა დამოკიდებული საქართველოს განთავისუფლების საქმე და ასევე მისი მომავალი არსებობაც.

გიგანტურ ომს, რომელსაც აწარმოებს ევროპა დიდი გერმანიის მეთაურობით, დასახული აქვს მიზნათ ხალხთა პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების დაფუძნება ახალს, სამართლიანსა და ჯანსაღ საფუძვლებზე. ევროპის ერთა მუდმივი ფარული და ახდილი პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლა და ომი უნდა შეიცვალოს მათი მტკიცედ დაზავებით, მათი ეროვნულ და ქონებრივ ინტერესების შერიგებით, მათი პოლიტიკური და ეკონომიური თანამშრომლობითა და კოოპერაციით.

საქართველო და კავკასია ღირსეულ ადგილს დაიკავებენ ამ დიდი გეგმით აგებულს ევროპაში. სტრატეგიული მნიშვნელობა, რომელიც მას ჰქონდა წარსულში თავის გეო-პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით არ შემცირებულა, და, წინააღმდეგ ამისა კიდევ უფრო გაიზარდა ახალს ხანაში. მისი ნავთი და მარგანეცი მსოფლიო მნიშვნელობის სიმდიდრეს წარმოადგენენ. ამას დაერთვის კიდევ ის, რომ საქართველო და კავკასია მარტო შემოსევებისა და ლაშქრობების გზა და ხიდი არ ყოფილან წარსულში. კავკასია ასეთსავე გზა და ხიდს წარმოადგენდა აღმოსავლეთსა და დასავლეთის შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობისათვის, ასეთი მისი როლი აგრეთვე

ფრიად მნიშვნელოვანი იქნება ხალხთა ცხოვრებისა და ურთიერთობის ახალს ნიადაგზე დაფუძნებისათვის, მით უმეტეს, რომ ევროპის ერთა ოჯახის წევრები იქნებიან აგრეთვე ჩვენი სამხრეთის მეზობლები და მთელი წინა აზიის ხალხები. საუკუნეთა მანძილზე ქართველ ერს მრავალი ომი უწარმოებია მათთან, მაგრამ ის თავის ეროვნულ არსებობისათვის იბრძოდა რაინდულად და მათს თვალში ღირსეული დაფასება და პატივისცემა აქვს მოპოებული. ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ევროპის ახალს გეგმაში შესაძლებელია იყოს ერთი დიდი კითხვითი ნიშანი შესახებ ჩვენი ერის ჯანმრთელობისა ჯოჯოხეთური კომუნისტური რეჟიმის შემდეგ. კომუნისტური მოსკოვი ოკეანეების გაღმა, ათი, ოცი ათასი კილომეტრის მანძილზე ახერხებს ხალხთა მასების სულიერად გარყვნას, დამახინჯებას და მათი კერძო და ეროვნული ცხოვრების დამშლელ და დამრღვევ ძალად გადაქცევას. კომუნისტური რეჟიმის გამხრწნელი გავლენა უთუოდ უფრო დიდი იქნებოდა იმ ერებში, რომელნიც წელთა განმავლობაში ამ რეჟიმის ფარგლებში იყვენ მომწყვდეული და მის გავლენას უშუალოდ განიცდიდენ. შესძლებენ ეს ერები სხვა ერებთან ერთად უღლის გაწევას ახალი ცხოვრების შენების საქმეში, თუ მათ დასჭირდებათ ერთგვარი დრო თავის ნორმალური სახის დაბრუნებისათვის? ჩვენ არ უნდა გვაკვირვებდეს, უკეთუ ასეთი იქვეები დაიბადა ჩვენი და საბჭოთა კავშირის სხვა ერების შესახებ, და ამ იქვეების გაქარწყლება ყველაზედ უკეთ და ამომწურავათ შეუძლიან საბჭოთა რეჟიმში აღწრდილ თაობას, ვინაიდან ის ყველაზედ

მეტად განიცდიდა ამ რეჟიმის საწამლავის გავლენას. ვფიქრობთ, რომ ასეთი იქვეები საკმაოდ გაფანტულია და ეს მოახდინა სწორეთ ამ ახალმა თაობამ. მათი ლეგიონების მიერ გამოჩენილმა სამხედრო თვისებებმა, მათი წრიდან გამოსულთა უნარიანობამ და სიბეჯითემ ფიზიკურ და ინტელექტუალურ მუშაობის დარგებში საკმაოდ ნათელი ჰყვეს, რომ კომუნისტები უფრო ადვილად რყვნიდენ სულიერად მასებს შორიდან, განუზომელი დაპირებებით და ფულით მოსყიდვით, ვიდრე თავის ბატონობის ფარგლებში, სადაც ამ ლამაზ დაპირებების ადგილს საბჭოთა ცხოვრების ჯოჯოხეთური სინამდვილე იკავებდა.



საქართველო და გერმანია

მთელი თავის ისტორიის მანძილზე ქართველ ერს ხშირი კულტურული, პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ევროპის ქვეყნებთან — საბერძნეთთან, რომის იმპერიასთან, შემდეგ იტალიის რესპუბლიკებთან და სარდინიის სამეფოსთან, ისპანიასთან, საფრანგეთთან, ავსტრიასთან და პრუსიასთან და, ბოლოს, გერმანიის იმპერიასთან.

გერმანელებთან ურთიერთობის პირველი შემთხვევა აღნიშნულია „ქართლის ცხოვრებაში“. დიდგორის ბრძოლის დროს (1121 წ.) დავით აღმაშენებლის ლაშქარში მონაწილეობას ღებულობდა ათასი გერმანელი, რომელნიც უთუოდ საქართველოში დარჩენ საბოლოოდ. 1453 წ. თურქ-ოსმალებმა დაიპყრეს კონსტანტინოპოლი და მით დაამხეს ბიზანტია და ფეხი მოიკიდეს ევროპაში. 1454 წ. ქართლის მეფე გიორგი, იმერეთის მეფე ბაგრატ, სამეგრელოს მთავარი ბეღია, გურიის მთავარი მამია და ყვარყვარე ათაბეგი წინადადებით მიჰმართავენ რომის პაპას პიუს II, პრუსიის მეფეს ფრიდრიხს, გერმანელ მთავარს ფილიპეს, საფრანგეთის მეფეს ლიუდოვიკო XI და ვენეციის სენატს: დასავლეთიდან თქვენ გამოგზავნეთ ლაშქარი და აღმოსავლეთიდან ჩვენ შევესევით ოსმალეთს 270.000 მეომრით და ბიზანტია გავანთავისუფლოთო. ევროპის სახელმწიფოებმა ვერ მოახერხეს ამ გეგმის გარშემო შეთანხმება და მისი განადგება.

გერმანული ლიტერატურა და მეცნიერება არ სტოვებდა უყურადღებოთ საქართველოს და მის მოგზაურებსაც მრავალჯერ აქვთ დავლილი ჩვენი ქვეყანა და აღწერილი მისი ყოფაცხოვრება. ანდრიას ბრიჯი-



უსმა, ცნობილმა გერმანელმა მწერალმა, თავის ტრადედიში — კატარინა ფონ გეორგიენ (1657 წ.) აღწერა ქეთევან დედოფლის მოწამებრივი ცხოვრება. 1720 წ. ანტონ კათალიკოსმა გადმოსთარგმნა პირველი გერმანული წიგნი — ბაუმაისტერის მეთაფიზიკა და შემდეგ ვებერის ფიზიკა.

მეფე ერეკლეს დროს ცნობილმა მწერალმა ლეს-სინზმამ დასწერა დრამა — მინნა ფონ ბანჰელმ, რომელიც ეხლაც იდგმება გერმანულ სცენაზე. ამ დრამაში აღწერილია გეორგიენთა მეფე ერეკლეს დიდი საგმირო საქმეები. ლესსინგის ამ დრამაში ერთი მომქმედი პირი, მხედარი, რომელსაც სამსახურიდან დათხოვნა მოეწივს, ეუბნება თავის მეგობარს — მე ეს არ მაწუხებს, წავალ აღმოსავლეთში და მეფე ერეკლეს ჯარში შევალ. ვინ არის მეფე ერეკლეო, ეკითხება მეგობარი. ნუ თუ არ იცი ვინ არის მეფე ერეკლე, როგორც სჩანს შენ გაზეთებზე არ კითხულობო. აქედან ნათელია, რომ მეფე ერეკლეს სახელოვან ომებზე იმ ხანად ბევრი იწერებოდა გერმანიის პრესაში.

1796 წ. გამოიცა გერმანელ მწერლის ბერსტინ-ბერგის წიგნი, სადაც მოთხრობილია მეფე ერეკლეს ომების ამბები. 15 წლის ერეკლე ნადირ-შაჰის ლაშქარშია ინდოეთში, სადაც დიდათ ისახელა თავიო. იქიდან დაბრუნდა და ოსმალეთი დაამარცხა და განდევნა საქართველოდან, ამის შემდეგ სძლია სპარსეთი და მას პროვინციები წაართვა. შემოიერთა ქვეყნები და დაიმორჩილა ისეთი ტომები, რომელნიც არავის ბატონობას არ სცნობდენ წინეთო. ის არის ძლიერი არა მარტო იარაღით, არამედ ასევე ჭკუითა და კაცთმოყვარეობით, ის ნამდვილი მამაა თავისი ერისა, მოყვარული სწავლისა, მეცნიერებისა და ხელოვნებისა.

ნუ თუ ასეთი კაცი არ დაიმსახურებს საყოველთაო პატივსა და სიყვარულს? ასეთი კითხვით ამთავრებს გერმანელი მწერალი თავის მოთხრობას მეფე ერეკლეზე.

იაკობ რეინვებსი, გერმანელი ექიმი და მეცნიერი, რამოდენიმე წელი ცხდვრობდა მეფე ერეკლეს კარზე და ეხმარებოდა მას ალავერდის ქარხნების, ფულის მოჭრისა და იარაღის ჩამომსხმელ ქარხნების მოწყობაში. მას აღწერილი აქვს საქართველოში ყოფნა და მეფესთან თანამშრომლობა.

ანტონ გუილდენშტატი, მეცნიერი ბოტანიკოსი, მოგზაურობდა საქართველოში. მეფე ერეკლე და კათალიკოსი ანტონი დიდათ მფარველობდნენ და ხელს უწყობდნენ მის მუშაობას, რაც მან აღწერა თავის წიგნში — მოგზაურობა კავკასიაში.

1798 წ. გამოვიდა გერმანიაში უცნობი ავტორის წიგნი — **პრინც ირაკლიუს ცხოდრება**. აქ მოთხრობილია ტახტის მემკვიდრის, ირაკლის ცხოვრება. თითქოს ის გერმანიაში წასულა სხვა სახელით, რომ იქ სამხედრო ხელოვნება შეესწავლა. სწავლა ჯარისკაცობიდან დაიწყო. მოხდა ომი პრუსიასა და ავსტრიის შორის. პრინცმა-ჯარისკაცმა ისე ისახელა თავი, რომ ჯერ აფიცრობა მიიღო და შემდეგ კაპიტნობა. მეფემ, ფრიდრიხ დიდმა გაიგო მისი ვინაობა და უბოძა მას უმაღლესი სამხედრო ჯილდოები. ამის შემდეგ ბატონიშვილი დაბრუნდა თავის სამშობლოში, რათა იქ გამოეყენებინა გერმანიის ჯარში მიღებული ცოდნა. ასეთი ლეგენდა იქმნა შეთხზული გერმანიაში მეფე ერეკლეზე. მეფე ერეკლეს დიდს სახელს გერმანიაში აგვირგვინებს ფრიდრიხ დიდის სიტყვები, რომელსაც იხსენიებს სოლომონ ლეონიძე მეფე ერეკლეს საფლავზე წარმოთქმულ სიტყვაში: მეორე ალექსანდრემ (მა-

კედონელი), პრუსიის უძლეველმა მეფემ ფრიდრიხ დიდმა შავით თეთრზე დასწერა — ევროპაში მე ვარ ჰერკულესი უძლეველი და აზიაში გეორგიენტა მეფე ერეკლეო.

სანამ რუსეთის მფარველობას შიილებდა, მეფე ერეკლეს დიდი მიწერ-მოწერა ჰქონდა ავსტრიის იმპერატორთან. ის მას სთხოვდა დახმარებას და მოკავშირეობას.

მე-19 საუკუნის მანძილზე ჩვენი ერი განიცდის მნიშვნელოვან გერმანულ გავლენას. გოეთე და შილერი მტკიცედ იდგამენ ფეხს ჩვენს ლიტერატურაში და თეატრში. ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ხანაში გერმანულ კულტურას ნამდვილი ელჩი ჰყავდა საქართველოში — არტურ ლეისტი. ის ჩამოვიდა გერმანიიდან სრულიად ახალგაზრდა, სამუდამოდ დარჩა საქართველოში, იყო უახლოესი მეგობარი და თანამშრომელი ილია ჭავჭავაძისა და საქართველოშივე გარდაიცვალა. არტურ ლეისტმა გადათარგმნა გერმანულ ენაზედ „ვეფხისტყაოსანი“ და ჩვენი კლასიკოსების მრავალი სხვა ნაწარმოები.

ჩვენი პოლიტიკური ურთიერთობა გერმანიასთან განახლდა პირველი მსოფლიო ომის დროს. ამ ხანაში გერმანიაში მოქმედებდა ქართული მროვნული კომიტეტი, რომელმაც შექმნა ქართული ლეგიონი. ეს ლეგიონი გერმანულ ჯართან ერთად იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ. ქართულ კომიტეტს ხელშეკრულობაც ჰქონდა დადებული გერმანიის მთავრობასთან. ამ ბრძოლისა და პოლიტიკური მუშაობის შედეგი იყო ის დიდი დახმარება, რომელიც აღმოუჩინა გერმანიამ ჩვენს ერს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. გერმანული ჯარის ნაწილები იარაღითაც იცავდნენ დამოუ-


კიდებელ საქართველოს საზღვრებს. გერმანული არმიის და საგარეო პოლიტიკის წარმომადგენელი გენ. ფონ კრესსი, გენ. ფონ ლოსოვი და გრაფ შულენბურგი მეთაურობდნენ გერმანიის საქართველოსადმი მეგობრული დაახლოებებისა და დახმარების საქმეს.

1941 წლიდან დიდი გერმანიის ძლევამოსილი ლაშქარი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს ბოლშევიკურ ტირანიის წინააღმდეგ, რომელმაც დაამხო გერმანელთა დახმარებით აღდგენილი საქართველო. ქართველები პირველ დღიდანვე ჩადგნენ ბრძოლის რიგებში. მცირე-რიცხოვანი მათი გუნდები შემდეგ გამრავლდნენ და დღეს მრავალი ათასი ქართველი იბრძვის დიდი გერმანიის ლაშქრის რიგებში. ქართველმა მხედრებმა უკვე დაიმსახურეს ღირსეული სახელი უშესანიშნავეს გერმანულს ლაშქარში. ეს არის ყველაზედ მძლავრი და მნიშვნელოვანი მომენტი გერმანულ-ქართული ურთიერთობისა და მეგობრობისა.

კავკასიასა და ყირიმში სახელგანთქმულ ქართველ ლეგიონერთა სიმღერა ამბობს:

„ქართველთ მტკიცე გვაქვს ჩვენ მეგობრობა,
 გერმანელთ ლაშქარს შევფიცეთ ძმობა.
 ბრძოლისა ველზე მივეცი თ ხელირ,
 სისხლით კავშირი არს უტეხელი.“

ეს საერთო ბრძოლა, და ერთად დადგრილი სისხლი ქვეშაირითად გახდება მტკიცე საფუძვლად იმ უტეხი კავშირისა და მეგობრობისა, რომელიც ერთნაირად უპასუხებს დიდი გერმანიისა და საქართველოს ყველა ძირეულ ინტერესებს.





ომი და სოციალურ-პოლიტიკური სისტემები

არა მარტო მებრძოლთა რიცხვისა და მატერიალურ საშუალებათა რაოდენობის მხრივ არის უხილავი და უმაგალითო ეხლანდელი მსოფლიო ომი. მასში ჩაბმულნი არიან აგრეთვე სოციალურ-პოლიტიკური სისტემები და წყობილებანი, და ომის შედეგზეა დამოკიდებული, თუ რომელი სისტემა დამკვიდრდება მტკიცედ, თუ დაინგრევა, ან და დროებით შეინარჩუნებს თავის პოზიციებს. ეს სისტემებია — კაპიტალისტური, კომუნისტური და ეროვნული, სახელმწიფოებრივი.

კაპიტალისტური სისტემა დიდათ შეარყია პირველმა მსოფლიო ომმა და ამის შემდეგ მან წელი ვერ წამოიღო და მუდმივ კრიზისების გამოუვალს რკალში მოემწყვდა. რაც იყო მისი ძალა, ეს ამოიწურა, ხოლო რაც შეადგენდა მის ნაკლსა და სენს, ეს განუსაზღვრელად გაიზარდა და სრულს სიმახინჯედ გარდიქცა. ამ სისტემამ ხელი შეუწყო პიროვნულ თავისუფლებისა და ეკონომიურ თვითმოქმედების განვითარებას, მაგრამ ვერ დაუდვა საზღვარი ამ პიროვნულ თავისუფლებას და მით ხალხთა ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება ხელში ჩაუგდო კაპიტალისტთა მცირე ჯგუფს, რომელნიც უხილავის სიმსუნაგით და გაუმძღრობით დაეპატრონენ ხალხთა ყოველგვარ სიმდიდრეს, ყველა მათ ქონებრივსა და სულიერ ღირებულებას.

მარქსისტული კომუნისტური სისტემა თითქოს სხვა გზით მიდის. ის შპორკავს პიროვნებას, ართმევს მას თავისუფლებას და ყოველივეს უმორჩილებს კოლექტივს. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად, რადგან მისი

კოლექტივი არ არის მთელი ერი, ხალხი, არამედ კომუნისტური პარტია და, სინამდვილეში კიდევ — ამ პარტიის მეთაური ჯგუფი. ამ ჯგუფის ხელში იყრის თავს ყოველგვარი ქონება, ყოველგვარი დოვლათი, ყოველგვარი ძალა და შესაძლებლობა. მაშასადამე, აქაც მცირე ჯგუფის ბატონ-პატრონობაა და ხალხის დიდი უმრავლესობის ნამდვილი მონობა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ კაპიტალისტთა ჯგუფი თავის განუსაზღვრელ ბატონობას ხალხზე და მის განუკითხავ უფლებას ამყარებს ფარული გზებით, დემოკრატიისა და თავისუფლების სამოსელში გახვევით. კომუნისტური სისტემა კი უფრო ნათელია და მარტივი. მთელი ხალხის გაძარცვა, მისი ქონების მითვისება, მისთვის ყოველგვარი თავისუფლების წართმევა და სრულს მონად გადაქცევა ხდება პირდაპირ და ახდლად, ხოცვა-ჟლეტით, გადასახლებით, კონც-ლაგერებით. ამ ორი წყობის იდეური საფუძველი ერთი და იგივეა — განუსაზღვრელი ეგოიზმი, მატერიალიზმის გაღმერთება და სიმსუნაგე.

მესამე სისტემა — ეროვნული, სახელმწიფოებრივი სისტემა და წყობა, ემყარება იმ უდავო ჭეშმარიტებას. რომ თვითელი ადამიანი, პიროვნება განუყოფელი, ორგანიული ნაწილია საზოგადოების, ერის. მისი არსებობა და განვითარება შეუძლებელია გარეშე ამ კოლექტივისა. მაშასადამე, ერისა და სახელმწიფოს მკვიდრად დაფუძნება და მათი ჯანსაღი მოწყობა შეადგენს აუცილებელ პირობას ამ ეროვნულ კოლექტივის ნაწილთა, პიროვნებათა, თუ სხვა მის ერთეულთა ბუნებრივ ზრდა-განვითარებისათვის. პიროვნების განუსაზღვრელი თავისუფლება, რომელიც აწიანებს და სჩაგრავს სხვა პიროვნებათა თავისუფლებას, ასუსტებს მთელს კოლექტივს და ხელს უშლის მის ბუნებრივ

განვითარებას. ასევე განუკითხავი ბატონობა მთელს ერზე, და ყველა მის ნაწილებზე კაპიტალისტური, თუ კომუნისტური ჯგუფისა და კოლექტივისა, ასუსტებს ერის დანარჩენს ნაწილს, მის დიდს უმრავლესობას, და უკარგავს მას ბუნებრივი განვითარების საშუალებას. ხალხის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარება მხოლოდ მაშინ იქნება მტკიცედ და სამომდლოთ დაფუძნებული, უკეთეს შეთანხმებული იქნებიან და შერიგებული პიროვნების, ჯგუფებისა და კლასების ინტერესები და საჭიროებანი და ეს დაცული იქნება სოციალურ კანონებით და სახელმწიფო ხელისუფლებით. სახელმწიფო უნდა გახდეს არბიტრის შემადგენელ ყველა ნაწილთა ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესებისა და მის ნიადაგზე აღმოცენებულ ბრძოლისა და უთანხმოებისა. ის უნდა ჰლაგმავდეს პიროვნების თუ კლასის ვიწრო ეგოიზმს და გადაჭარბებულ მადას და სიმსუნაგეს, მის თავაშვებულობას და თავგასულობას, სულ ერთია კაპიტალისტია ის, გლეხი თუ მუშა. საღი სოციალურ-პოლიტიკური წყობა არ უნდა იყოს ინდივიდუალისტური, კლასიური, თუ კოლექტივისტური, ის უნდა იყოს ეროვნული, სახელმწიფოებრივი, ჯე-პიროვნული და ჯე-კლასიური.


ასეთია ის სოციალურ-პოლიტიკური წყობა, რომელიც დამყარდა ნაც.-სოც. გერმანიაში და მრავალ სხვა ქვეყნებში. სიყალბეა მტრების მტკიცება, თითქოს ნაციონალ-სოციალისტური გერმანია თავზე ახვევს სხვა ერებს თავის პარტიას და წყობას. ასეთი ზრახვა სავსებით ეწინააღმდეგება ნაციონალ-სოციალისტურ იდეოლოგიას და მორალს. ახალი ევროპის გეგმა ჰგულისხმობს ერთა პოლიტიკურ-სოციალურ ცხოვრების

აშენებას ამ ერთა ეკონომიურ და სულიერ ინტერესების მიხედვით, მათ ბუნებისა და ხასიათის საფუძვლებზე. ერები შეთანხმებით მიიღებენ და დაამკვიდრებენ თავის ცხოვრებაში მხოლოდ ისეთს საერთო წესებს, რომელნიც აუცილებელი იქნებიან ამ ერთა საერთო ინტერესების დასაცავად.

ხალხთა სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ასეთს ხალხსა და მტკიცე ნიადაგზე დამკვიდრების იდეა სწრაფად იდგამდა ფეხს მთელი მსოფლიოს სივრცეზე და ეს ომი მხოლოდ დააჩქარებს მის საბოლოოდ გამარჯვებას.

სოციალურ-პოლიტიკური სისტემები მყარდებიან მსოფლიოს სივრცეზედ ეკონომიურად და პოლიტიკურად ძლიერ ერთა მეოხებით. მცირე ერებს მხოლოდ მცირე წვლილის შეტანა შეუძლიანთ სისტემათა ბრძოლის საქმეში და შემდეგ ისინი უნდა შეეგუონ იმ წყობას, რომელიც დამკვიდრდება საყოველთაოდ. საკმაოდ ნათელია, ამ წყობათაგან რომელი უფრო შეეფერება ჩვენს ეროვნულს ინტერესებს, ჩვენს ბუნებასა და ხასიათს. კაპიტალისტური სისტემის დროს საქართველომ წელი ვერ წამოიღო და ვერც ვერასოდეს მოახერხებდა ამას, რადგან ამ წყობის დროს არამც თუ კაპიტალებით სუსტი ჩვენი ერი, არამედ დიდი და მდიდარი ერებიც კი კაპიტალისტთა მცირე ჯგუფის სათამაშო იარაღად იყვნენ გამხდარნი. კომუნისტური სისტემის საშინელება კიდევ ჩვენმა ერმა ზედმეტად გამოსცადა. ის წყობა, რომელსაც ამჟამად ევროპა გერმანიის მეთაურობით, არის ერთა მეგობრული კავშირი.

მათი ეკონომიური და პოლიტიკური თანამშრომლობა, კოოპერაცია. ასეთი წყობა განსაკუთრებულად უპასუხებს რიცხვით მცირე და ეკონომიურად სუსტ ერების ინტერესებს. მთელი თავისი ბუნებით ეს წყობა შეუძლებლად ხდის ერთა და პიროვნებათა ისეთ დამონებასა და ყვლეფას, რომელსაც ადგილი აქვს კაპიტალისტურ და კომუნისტურ წყობილების დროს.



ბრძნული აზრები

ზოთა რუსთაველი

წესი არის მამაცთაგან მოქირვება, ქირთა თმენა.
არვის ძალ-უძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა.

რა უარეა მამაცსა, ომშიგან პირის მღმეკელსა,
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მექველსა.
(მექველი — მოშიშარი).

არ შეუდრკების ქაბუკი კარგი მახვილთა კვეთასა.

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა
კლდოვანი;
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მცხოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.

ჰხამს მამაცი მამაცურად, სჯობს რაზომცა ნელად
სტირსა.
ქირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა.

ჰხამს თუ კაცი არ შეუდრკეს, ქირს მიუხდეს
მამაცურად.

ჰხამს მამაცი გულოვნობდეს, ქირსა შიგან არ
დაღონდეს.

შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა.

ყოლა ლხინთა ვერ იამებს, კაცი ქირთა გადუხდელი.

ღმერთი ბოლოდ ლხინსა მისცემს, ვინცა პირველ
ქირთა გაჰსძლებს.

არას გარგებს შექირვება; რომ ქმუნვიდე, რა გერგების!
არ თუ იცი, უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდების?

ვამ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე
გქირსა!

ყოვლიმც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა;
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი იმას ძირსა,
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!

გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან:
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან;
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან
შენ არ გინახავს, არ იცი, მას რომე ცეცხლი სწვიდიან

კარგი რამ გქირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!
სხვადასხვა ქირი ჩემზედა არ ახალია, ძველია.

სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?
რა მისქირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა!

გასტებს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

დიდთა ხეთა მოერევის მცირე დასწვავს ნაპერწკალი.

ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.

ვინც მოყვარუსა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.

ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც
დაშავდების.

თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები.

ისარი და პირით სიტყვა რა გასტყორცო, არ
მობრუნდეს.

კაცი ცრუ და მოღალატე ჰხამს ლახვრითა დასაქრელად.

კოკასა შიგან რაცა ჰსდგას, იგივე წარმოდინდების.

ღეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს, გინდა ხვადია.

მსგავსი ყველაი მსგავსსა ჰშობს, ესე ბრძენთაგან
თქმულია.

ნეტა მამაცი სხვა რაა, არ გასძლოს რაცა ჭირია.

ოდეს კაცსა დაეჭირვოს მაშინ უნდა ძმა და თვისი.

ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს იგი ჩირად.

სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.

სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა.

საუბარმა უმეცარმა შმაგი უფრო გააშმაგოს.

ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა
ნედლად.

ყოველგან საძაგელია მუხთალი მიუნდობელი,
ლადარი, პირის გამტეხი, ალთქმისა დაუპყრობელი.

ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყმა ჰნახო ავად
ზრდილი.

ცოლი გინდა შესართავად, უკეთესი ვით მოიერთო;
ასეთს რასმეს ნუ ჩაიდენ, ქალბატონი არ შეიერთო.



ს ა ბ ა - ს უ ლ ხ ა ნ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

ან საწადილსა ღრუბელსა
ავალ და ავფრინდებია,
ანუ კაცურად სიმხნითა
სიკვდილი თავს მიდებია.

არ ჰშვენის ლომსა ჭაბუკსა
მცირედლა დანაკოდარსა,
ადრე ადგილი დააგდოს
დარსა გაექცეს მოდარსა.

ბრძენთა უთქვამთ: ცუდი სიტყვა
ვერ გაივლის ხანსა გრძელსა.

დიდი ქვეყანა მოუწვავს
ენასა მამულრისასა.

დიდსა, მალაღსა, ნათელსა მზესა
მცირე ღრუბელიც მოაფენს ბნელსა.

ეგრე მტრისა არ მეშინის
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარესა მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება, მოცინარობს.

ვინც ჭირსა თავი არ მისცეს
ლხინს როდის შეესწრებისო.

ვინც არის ჩემი მებრძოლი,
პირის პირ მკადროს ომია.

იცოდეთ, ყოვლი ბუნება
გვართაკენ მიიწილება.

კაცურსა კაცსა ტყუილი
არ მშვეენის არად, არაო.

მკვდრად იგი თქმულა, ვის კაცის
სახელი ზედ არ აცხია.

მოყვარე მინდა ქებული
ერთ-პირი, ერთის გულისა.

მხნე ყველგან პატივს იშოვის
სადაცა იყოს რებული.

მართლა უთქვამთ: ცუდი სიტყვა
ვერ გაივლის ხანსა გრძელსა.

მოღვაწეობის სახელი
გვირგვინად თავსა დაიდგმის.

რა ხელი ავსა დასთესავს
ავსავ მოიმიქის ბოლოსა.

რაცა ძალ-გედვას, ეცადე
სიმხნე მოიგე, შრომანი.
დიდთა შვილობას რად მოჰკვებ?
ცუდია გვართა ზომანი.

სახელოვანი სიკვდილი
სიცოცხლეს უმჯობესია.

სიმუხთლე და უნდობლობა
უგვანთა კაცთა წესია.

ფრთხილად მავალი სოფელსა
გვიანლად წაიქცევისა.

ღვარძლის მთესველი ვერ მომიქის
იფქლსა ბასრისა ცელითა.

გულოვნის კაცის წესია
ფერხისა მაგრად დგომანი.

შფოთვის მტვერს უნდა მიუშვა
გამოცდილების მდინარე.



დ. ბ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

ვინც სახნავი უკულმართად
მრუდად ჰხნას და მრუდად ჰფარცხოს,
ის შე ბურსა ნულარ მაქმევს,
რაც იმ ფქვილით გამოაცხოს.

თვით ქრისტე ბრძანებს: ძნელია
ორთა უფალთა მონება.

მას დავნატრი, ვინცა სწორედ
სვლად საწუთროს გზას გაჰყვალავს.

მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან
განხეთქოს შთა და გორია.

ნდომა მხდალს გაჰხდის მამაცად
შეჰბედავს ძნელს საბედველსა.

რაგინდ რომე კაცმა ჰმალოს
ქირი თავსა არ დამალავს.

რა რომ ბოძი წაიქცევა
სახლ-კარიცა დაიქცევა.

სწავლის ძირი მწარე არის
კენწეროში გატკბილდების.

სამწყოს უმწყესოდ მავალსა
შესქამს ტურა და მგელია.

უსირცხვილოს თუ არ არცხვენ
ბაძით მორცხვიც გაურცხვდების.

ყველამ იცის, რომ ჯაბან კაცს
გულს უკლავს სხვის მამაცობა.

შენც იმ გზაზედ ხარ წამსვლელი
სად მამა-პაპათ უვლია.

ცოდნა თან დასდევს მცოდნესა
რაჯომსაც დაეტარების;
არც ცხადით ძალით წაერთმის,
არც მალვით მოიპარების.

ქკუა უხმარ არს ბრიყვთათვის
ქკვა ცოდნით მოიხმარების.

ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი
თუ ეძებ გემოვნებასა.

ილია ჭავჭავაძე

1. სულიერი და ხორციელი

დიდ-ბუნებოვნობა ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა, მის მიერ გატანილ მადლის მეტ-ნაკლებობა-შია. ეგ მეტ-ნაკლებობა მადლისა არის უტყუარი საწყაო ცალკე ადამიანის, თუ მთელი ერის, კაცურ-კაცობისა, მისის შინაგან სიმაგრისა, ქვა-კუთხედი მისის აღმატებულობისა. მადლი არის კრებული იმ კეთილთა, რომელიც შეადგენს ზნეობურს განძს, როგორც თვითეულ ადამიანისას, ისეც მთელი ერისას, და ეს განძია იგი კლდე, რომელზედაც შენდება ციხე-სიმაგრე ერის ცხოვრებისა, ერის აწმყოში, ერის მერმისისა.

ადამიანი და ნამეტნავად ერი არა მარტო „პურიტა ერთიტა ცოცხალს არს“. მართალია, მშიერი დიდს მანძილს ვერ გაივლის ამ მადლისა და ბოროტის ჭიდილის გზაზე, მაგრამ უმადლოდაც, როგორც ხორცი უსულლოდ, არაფლის მაქნისია. ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს — სულისათვის. თუ ან ერთა დაშრა, ან მეორე, — გვაში ერისა მკვდარია, ვითარცა უსულლოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქაოსათვის მაინცა. ამიტომაც, ვინცა სჩივის და ჰლალადებს სახორციელო პურისათვის, ის ამდენადვე, თუ არა მეტად, უნდა იღწვოდეს სასულიერო პურისათვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი. რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი.



„ვით მამა ზეცისა იყავნ შენ სრული“, — აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია, თუ მთელი ერი, — ამ სისრულის გზაზე, ვინ რამდენად წინ წამდგარა, ვის რამდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა-სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, — აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელი ერისა.

(„ივერია“ 1895 წ.).

2. შრომა და მშრომელი

...გვითქვამს, და ეხლაც კიდევ მიზეზი გვაქვს ვსთქვათ, რომ ქვეყანა და მისნი მადლნი ყოველთვის და ყოველგან მარტო მშრომელისა და გამრჯელის ყოფილა და არის... გამრჯელი და მშრომელი არის შემქნელი და მომქმედი ამ ცხოვრებისა და კერძადაც ცხოვრების სუფრაზედ მარტო იგი ჰპოულობს სხვის დაუყვედრებლად, სხვის უმუნათოდ. სხვა ყველანი ნალოები არიან ამ გამრჯელსა და მშრომელზედ, ათასნაირ ხვანჯებით გამობმული. ესენი გამრჯელსაც ამძიმებენ და თვითონაც არ იციან, სად და როდის გაუწყდებათ წნელი რომელსაც ხელი უკიდიათ და სად დარჩებიან უმწეოდ — შიმშილით სულის ამოსახდომად, და როცა ეს უბედურობა შეემთხვევათ, ჰყვირიან გვიშველეთო. უქმი, გაურჯელი კაცი, სხვის სამადლოთ დარჩენილი, ამ აუცილებელ ბედს ვერ წაუვა, თუნდაც ზედ ოქროს ზოდზედ დასვათ. არავითარი სიმდიდრე დაუსრულებელი არ არის. ოქროს ზოდიც რაც უნდა დიდი იყოს, თავის დროზედ ყინულსავით დაუდნება

უქმს კაცსა და თუ თვითონ არა, მის შვილს, ან შვილი-
შვილს მაინც აგრძნობინებს აუცილებლობას შრომისა
და გარჯისას და სიმწვავეს უქმობისა და გაურჯე-
ლობისას.

(„ივერია“ 1888 წ.).

3. გუთანი და ხმალი

ჩვენის გულითადის ფიქრით, ქვეყანა იმისია, ვი-
საც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი.
ხმალი იცავს გუთანს, ხოლო გუთანი ასაწრდობს
ხმალს. გუთანს კი ერთი განსაკუთრებული მშვიდო-
ბიანი დანიშნულება აქვს: დედამიწის უხვი გული გა-
დაგვიშალოს და იქიდან საწრდობა გვაწოდოს. გუთა-
ნი, ქართველებო, გუთანი, და ხმალი იყოს ფარი მისი.
თავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთ.

(„ივერია“ 1881 წ.).

4. რამ გვიხსნა, რამ შეგვაკლებინა?

რა არ გადაგვხედია თავს, რა მტრები მოგვხევიან,
ვაი-ვაგლახი, რა სისხლი, რა ღრქენა კბილთა არ გა-
მოგვივლია... რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა
ჩვენს თავზედ, და ყველას გაუძელით, ყველას გაუ-
მაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი
ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგთემურებმა ჩვენს სა-
კუთარს სისხლში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გა-
მოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლე-
ჯინეს ჩვენი წვლილ-შვილნი და მაინც გამოვბრუნ-
დით, მოვსულიერდით. ალა-მაჰმად-ხანებმა პირქვე და-
გვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვასრნეს, მო-

გველიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, მოეშენ-
დით, წელში გავსწორდით. გაუძელით საბერძნეთს,
რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარ-
სელებს, რჯულიანსა და ურჯულოს. დროშა ქართვე-
ლობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლე-
თილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევინარ-
ჩუნეთ, არავის წავადებინეთ, არავის დავანებეთ, არა-
ვის შევაგინებოთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ეხლა
ჩრჩილმა შესქამოს, თავმა დაგვიჭრას!.. ყველა ეს
შევიძელით და საკითხავად საჭიროა, რამ შეგვაძლე-
ბინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის რო-
გორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლ-მფრქვეველნი
მამულისათვის რამლა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა?
მან, რომ ვიცოდით იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მი-
სი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ხმალი უნდოდა,
ხმლის ქედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა
ომის საქმენი ვიცოდით. აი რამ შეგვაძლებინა, რამ
გვიხსნა, რამ შეგვინახა! იმ დროთა ჩარხზედ გაჩარ-
ხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფო-
ლადებულნი, იმ დროთა სამკედურში ნაქედნი. „სილ-
ბო გვექონდა ნაქსოვისა“, ვით ქრისტიანებს, და „სი-
მტკიცე ნაქედისა“, ვით მეომრებსა და მამულიშვი-
ლებს. ამით გავიტანეთ თავი. დროთა შესაფერისი ღო-
ნე ვიცოდით, დროთა შესაფერისი ხერხი, დროთა შე-
საფერი ცოდნა გვექონდა, დროთა შესაფერი მხნეობა
და გამრჯელობა. ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობი-
ნა; ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა.
ქვეყანა და სახლი შევინახეთ, სახსენებელი არ ამო-
ვიკვეთეთ, საქოლაფი არავის ავაგებინეთ...

6. ნიკოლაძე

მეზობლებთან კავშირი და მეზობრობა

...როს ეს ტოტნი ერთი ცხოვრების, ერთ-არსებისა. ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან, როს იგი ტოტნი, ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა ერთის შიზნით, ერთის ფიქრით განდიდდებიან.

ილია ჭავჭავაძე.

კავკასიის მდგომარეობა მოითხოვს ამ ცემენტის ხმარებას (შვეიცარიის კონფედერაციის მაგალითი). აქ ისტორიას მრავალი სხვა და სხვა ფერი ხალხი მოუთავსებია ერთად, არც ერთი მათგანი იმდენად ძლიერი არ ყოფილა, რომ მთელს მხარეზე კიდით-კიდემდე, საკუთარი ბეჭედი დაესვა, ან მტკიცე ერთობა დაედგინა.

დღეს, გვინდა თუ არა, სულ ერთია მეზობლები უნდა ვიყვნეთ ერთმანეთისა, ერთისა და იმავე ჭაპანის მწვეველნი, ერთნაირ უფლებათა პატრონნი, ერთისა და იმავე მოვალეობის მტვირთველნი. დროა მივხვდეთ ყველანი, რომ რაკი ამ მდგომარეობიდან არც ერთს ჩვენგანს არც გაქცევა შეუძლია, არც სხვების გაღენა, მეტი საშვალეობა არავისა გვაქვს: უნდა ერთმანეთში მოვთავსდეთ და მოვრიგდეთ, თუ გვინდა, რომ ჩვენი ცხოვრება ცხოვრება იყოს, და არა სრულიად უსაგნო. უგნური წეწვა-გლეჯა ერთმანეთისა, ვინ იცის ვის სასარგებლოდ.

რასაკვირველია, ყოველი ერი ვალდებულია, ხანამ კი შეუძლია, იბრძოდოს თავისი მამულის, რწმენის, ენის, ვინაობის, ეროვნობის დასაცველად. შესანახავად, მაგრამ ნუთუ შვეიცარიელებმა თავიანთი ან ენა დაჰკარგეს, ან რწმენა, ან ვინაობა, ან ეროვნობა?


ნუთუ მათ მიერ ამხანაგურად დაარსებული წესი და კანონი საუკუნოების განმავლობაში, ლამპარად არ უნათოდა ყოველმხრივ მათ მეგვარტომე ფრანგებს, იტალიელებს და გერმანელებს, და ყველა ამ ერისათვის გზის მაჩვენებელ კანდელად არ შეიქნა, მათის ამალღების და დახსნის იარაღად?..

არც საჭიროა, მაინც და მაინც, რომ გულითადი სიყვარული, გინდ პატივისცემა გვექონდეს ამ მეზობლებისა. შესაძლოა კიდევ, რომ ძალიანაც გვძულდეს, ან სრულებითაც არ შეგვეფერებოდეს მათი ხასიათი, ჩვეულება, საქციელი. წესი, კანონმდებლობა, რიგიანი განწყობილება სწორედ იმიტომ გამოუგონია კაცობრიობას, რომ სიყვარულის ადგილი დაიკავოს იქ, სადაც ეს ძლიერი გრძნობა არ არსებობს. თორემ საცა სიყვარულია, იქ რა საჭიროა ან კანონი, ან წესი, ან მართველობა? მაგარი ისაა, რომ სიყვარული ერთობ ძვირობს დედამიწაზედ, და საცა კია, ნამეტანად მოძრავი, დაუდევარი გრძნობაა, ზედ ერთა ცხოვრება კი არა, თვით კერძო კაცთა განწყობილებაც ძნელად დასაფუძნებელია. მასზედ ბევრად უფრო გამოსაღევი ამ მხრით, ყოველგან და ყოველთვის ყოფილა კაცობრიობისათვის სიმართლე, პირობა, მორიგება, ანგარიში, მტკიცე წესი. ხშირად მომხდარა ხოლმე, რომ სიმართლეს და სამართალს მტრები შეერიგებინოს და შეეყვარებინოს ერთმანეთისათვის...

თუ არ გვინდა, რომ ჩვენი ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაიქცეს, ისეთი განწყობილება უნდა გავმართოდ ერთმანეთში, რომ ადამიანური, გონიერი, სახეირო იყოს: სხვისას ნურას მოვინდომებთ, სხვისი ნურაფერი გვშურდეს. ნურცა ჩვენსას ნურაფერს გავატანთ და დავანებებთ ვისმე. ვეცადოთ ჩვენს პატარა წრეში

ჩვენთვის სრული თავისუფლება დავიმკვიდროთ
ზრდისა და ცხოვრებისა, და სხვას ყველას ჯვარი გა-
დავსახოთ, დაე იმათაც იცხოვრონ და იხარონ, რო-
გორც მათი ბუნება, გონება და გარემოება მოითხოვ-
დეს, ან შეუბას აძლევდეს. სანამ ყველანი ერთიანად ამ
უბრალო მცნებას არ შევითვისებთ, არაფერი სიკეთე
ჩვენ არ გვეღირსება, რადგანაც მთელი ჩვენი ძალა და
მხნეობა მარტო ჩვენი ვინაობის, ჩვენი ქონების დაცვას
უნდა მივალიოთ, და არა მის ამაღლებას, ან მიმა-
ტებას.

(„მოამბე“ 1895 წ.).



ქართველ ლეგიონერთა ლაშქრული

გავშალოთ დროშა თამარ მეფისა,
კვლავ ვკაფოთ გზები წინაპრებისა!
ჩვენო ლაშქარო, წინ და წინ მედგრად,
უველა ქართველი შობილა მხედრად.

შორით გამოჩნდა კავკასიონი,
დროშას გვიკურთხებს ძველი სიონი.
მაშ მედგრად, ძმებო, ვეკვეთოთ მტერსა,
აფხსნათ ბორკილი მშობელსა ერსა...

ქართველთ მტკიცე გვაქვს ჩვენ მეგობრობა,
გერმანელთ ლაშქარს შევფიცეთ ძმობა.
ბრძოლისა ველზე მივეცით ხელი,
სისხლით კავშირი არს უტეხელი.

ვართ ჩვენ შემკვიდრე ძველი დიდების,
გვახსოვს ანდერძი ჩვენ წინაპრების.
მაშ მალლა დროშა თამარ მეფისა,
დროშა ძლევისა, გამარჯვებისა!



ისტორიული ცნობები

XX — V საუკუნე ქრისტეს დაბადებამდე.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქართველთა ტომები მოვიდნენ სამხრეთიდან და დაბინავდნენ მტკვრისა და რიონის ხეობაში 2191 წ. ქ. წინ. უძველეს ეპოქებზე მეტად მცირე ცნობები მოიპოვება უცხოელთა წყაროებში და დაბადებაში. მე-5 საუკუნიდან ქ. წ. ჩვენ გვაქვს უკვე მეცნიერული ხასიათის მასალები. ამ საუკუნეში ისტორიულ მეცნიერების მამამთავარმა, ბერძენთა ისტორიკოსმა ჰეროდოტემ აღწერა ქართველ ტომთა ცხოვრება. ისინი იმყოფებიან სპარსეთის მორჩილებაში და დაყოფილნი არიან სამამასახლისოებად. სატახტო ქალაქია მცხეთა. იმ დროისთვის მაღალ კულტურულ დონეზე ცხოვრობენ: აქვთ განვითარებული სასოფლო მეურნეობა, კარგათ ნაშენი სახლები და გზები და მათი ქსოვილები ცნობილია მთელს აღმოსავლეთში.

V — I საუკუნე ქ. წ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მეფე ფარნაოზმა (302 — 237) განდევნა უცხოელები და შექმნა ერთი სამეფო. მან შემოიღო ქართული ანბანი. შემდეგ საქართველო დაიყო ორ სამეფოდ: იბერია (აღმოსავლეთი საქ.) და კოლხეთი (დასავლეთი საქ.). III ს. დამლევს იბერია და კოლხეთი მოექცნენ რომის იმპერატორის მფლობელობაში.

I — V ს. ქრისტეს შემდეგ. ქრისტიანობა საქართველოში ვრცელდებოდა პირველ საუკუნიდან. წმინდა ნინოს სამოციქულო მოღვაწეობის შემდეგ ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გახდა მეფე მირიანის დროს — 332-337 წლებში. 498 წ. ქართული ეკლე-

სია განთავისუფლდა ანტიოქიის პატრიარქის უფრო-სობიდან და დაარსდა საქართველოს საკათალიკოსო. ვახტანგ გორგასლანის შემდეგ (446 — 499) სპარსელები იპყრობენ აღმოსავლეთ საქართველოს. კოლხეთი, ეხლა ლაზიკად წოდებული, ბიზანტიის გავლენის ქვეშაა.

V — X ს. ქ. შ. 543 წ. ბიზანტიელებმა ლაზიკა დაუთმეს სპარსელებს. VII ს. დასაწყისში ბიზანტიელებმა განდევნეს სპარსელები ლაზიკიდან. VII ს. დასაწყისში მაჰომედი ჰქმნის არაბთა ძლიერ სახელმწიფოს და ახალი რელიგიის დროშის ქვეშ იწყებს ქვეყნების დაპყრობას. 643 წ. არაბები მოადგენ საქართველოს. ქართველებს მოძულებული ჰქონდათ ბიზანტიის ბატონობა და დასდევს არაბებთან ხელშეკრულობა, რომლის ძალით აღმოსავლეთი საქართველო ფაქტიურად დამოუკიდებელი რჩებოდა. დასავლეთი საქ. კვლავ ბიზანტიის ხელში იყო. მურვან ურუს დროს არაბთა ბატონობა ხდება მეტად სასტიკი. იწყება სარწმუნოებრივი დევნა. მან მოაოხრა აღმ. საქ. და განდევნა ბიზანტიელები დასავ. საქართველოდან. საქართველო დასუსტდა და დაიქსაქსა. მხოლოდ ეკლესია რჩება მთლიანი. მეფე ლეონის დროს (780 — 806) არსდება აფხაზეთის სამეფო სატახტო ქალაქით ქუთაისში. ტაო-კლარჯეთი ძლიერდება ბაგრატიონთა მთავრების ხელში. აშოტ და დავით კუროპალატის დროს ის შეიცავს მთელ აღმოსავ. საქართველოს. 980 წ. დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო გაერთიანდნ ბაგრატ III-ის (980 — 1014) მეფობის ქვეშ.

X — XII ს. ქ. შ. ეს ხანა წოდებულია ოქროს ხანად. საქართველო სავსებით თავისუფლდება არაბთა და ბიზანტიელთა ბატონობისაგან. საქართველო ამარ-

ცხებს აგრეთვე ახლად დაარსებულ თურქ-სელჯუკთა იმპერიის ჯარებს (1121 წ.). დავით აღმაშენებლის (1089 — 1125), გიორგი III-ის (1154 — 1184) და თამარ მეფის დროს (1184 — 1212) საქართველო წარმოადგენდა ერთერთ უძლიერეს სახელმწიფოს მთელი მსოფლიოს სივრცეზე. საქართველო განიცდის დიდს ეკონომიურ და კულტურულ აყვავებას. საეკლესიო მწერლობაში ბრწყინავენ იოანე, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელნი, მეცნიერებასა და ფილოსოფიაში — ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი. საერო პოეზიაში — სარგის თმოგველი, მოსე ხონელი, იოანე შავთელი, ჩახრუხაძე და შოთა რუსთაველი. დიდს აყვავებას განიცდის აგრეთვე საეკლესიო მხატვრობა, რქრომქედლობა და ხუროთმოძღვრება.

XII — XVI ს. თამარ მეფის ბრწყინვალე მეფობის შემდეგ იწყება ხანა მუდმივი შემოსევების, საქართველოს მრავალჯერ დაპყრობის, დანაწილების. ქართველი ერი გაშმაგებით იცავს თავის არსებობას, მაგრამ საშინელს გარემოცულობაში ვერ ახერხებს მომაგრებას და მტკიცედ ფეხზე დადგომას. ეს ეპოქა იწყება მონგოლების (თათრების) შემოსევით. ჩინგის ხანის მეთაურობით ისინი ჰქმნიან უძლიერეს იმპერიას, რომელიც მაშინდელი კაცობრიობის თითქმის ნახევარს შეიცავს. მონგოლები რამოდენიმეჯერ შეესიენ საქართველოს და 1239 წ. აღმოსავლეთი საქართველო დაიმორჩილეს. 1258 წ. საქართველო ორ სამეფოდ იყოფა და შემდეგ კიდევ სამთავროებად, რის შემდეგ საქართველო მტკიცედ ვერ გაერთიანდა ერთს სამეფოდ. გიორგი ბრწყინვალის დროს (1313 — 1346) მომხდარი გაერთიანება მეტად ხანმოკლე იყო. ჩინგის ხანის იმპერია დაირღვა მალე მისი სიკვდილის შემდეგ, მაგრამ




თემურ-ლენგმა ის კვლავ აღადგინა. 1387 წ. ის შეესია საქართველოს და შემდეგ კიდევ ხუთჯერ. მონღოლების შემდეგ მსოფლიო ასპარეზზე გამოდინა თურქთა ტომები. ისინი გააერთიანა ოსმანმა და მისი მეთაურობით იქმნება თურქ-ოსმანთა იმპერია. 1453 წ. თურქები იპყრობენ კონსტანტინოპოლს და ამით ამხობენ ბიზანტიას. ისინი მრავალ შემოსევებს აწარმოებენ განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოზე. აღმოსავლეთ საქართველოს არ ასვენებენ სპარსელები და თბილისიც მათს ხელშია. 1553 წ. ისინი იყოფენ საქართველოს. საქართველოს მეფეები მათ არ მორჩილდებიან და მათთან მუდმივ ბრძოლებში არიან ჩაბმულნი.

XVI — XVIII ს. 1614 წ. სპარსეთის შაჰი აბასი შეესია აღმ. საქართველოს და ააოხრა ის. შემდეგ მან შეირიგა მეფე ლუარსაბი, მაგრამ როდესაც მან და მისმა დედამ ქეთევან დედოფალმა უარი სთქვეს მუსულმანობის მიღებაზე, მან ისინი წამებით დახოცა. შემდეგ ის მეორედ შემოესია საქართველოს და 100.000 კახელი სპარსეთში გადაასახლა. ამ ხანაში მოღვაწეობდა შესანიშნავი სარდალი გიორგი სააკაძე. დაუსრულებელმა ომებმა და ქვეყნის რბევამ მეტად შეამცირა მოსახლეობის რიცხვი, დააღარიბა ეკლესია, მონასტრები და მით დაასუსტა მათი მოღვაწეობა სწავლა-განათლების საქმეში. მიუხედავად ამისა მე-17 ს. იწყება ქართული მწერლობის გამოცოცხლება, რის გამოც მე-17-18 საუკუნეს ეწოდება ვერცხლის ხანა. პოეზიას და მწერლობას ამშვენებენ თეიმურაზ I. არჩილ მეფე, იოსებ ტფილელი, საბა-სულხან ორბელიანი, ვახტანგ VI, ბესიკი და დავით გურამიშვილი. ვახტანგ VI-რჯულ მღებელმა შეიმუშავა შესანიშნავი კანონთა კრებული — სამართლის წიგნი, 1709 წ. დაარსა სტამბა, შეკრიბა

და დაამუშავა „ქართლის ცხოვრების“ ძველი ხელთ-
ნაწერები. ეს მწიგნობრული მუშაობა მან გადაიტანა
რუსეთში, სადაც ის გადასახლდა 1200 რჩეული ქარ-
თველით მას შემდეგ, რაც პეტრე დიდმა სპარსეთთან
ომში ჩაითრია და დახმარება არ აღმოუჩინა. ვახტანგ
მეფე გარდაიცვალა ასტრახანში 1737 წ. ამ ეპოქაში
მოღვაწეობენ ცნობილი ისტორიკოსები ფარსადან
გორგიჯანიძე, სეხნია ჩხეიძე და შესანიშნავი ისტორი-
კოსი და გეოგრაფი ბატონიშვილი ვახუშტი, მეცნიერი
და ფილოსოფოსი ანტონ კათალიკოსი და სხ.

თეიმურაზ II (1744 — 1760) და მისი შვილის ირაკ-
ლი II (1744 — 1798) დროს საქართველო კვლავ იწ-
ყებს მოღონიერებას. ირაკლი II კახეთის მეფეა და
შემდეგ (1760) მამისაგან ლეზულობს ქართლის ტახტს
და მით აღმოსავლეთ საქართველოს აერთიანებს. ირაკ-
ლი მეორე მტკიცე საფუძველზე აშენებს მმართველო-
ბის, სასამართლოს, ფინანსებისა და სამხედრო საქმეს,
ჰქმნის სამრეწველო წარმოებებს და აწესრიგებს სა-
სკოლო საქმეს. მაგრამ მისი მეფობა მუდმივ ომებში
გადის, რის გამოც მის დიდს სახელმწიფოებრივ მუშაო-
ბას მტკიცედ დაფუძნება არ დასცალდა. 1790 წ. იმე-
რეთის მეფე და მთავრები სამეგრელოსა და გურიისა
ტრაქტატს სდებენ ქართლ-კახეთის სამეფოებთან,
რომლის მიხედვით ხდებოდა ფაქტიური გაერთიანება
მთელი საქართველოსი მეფე ირაკლის სკიპტრის ქვეშ.
მაგრამ ამას განაღდება არ მოეხსნა. 1795 წ. სპარსე-
თის შაჰი აღამაჰმად ხანი შეესია საქართველოს მის
მიერ 1788 წ. რუსეთის მფარველობის მიღების გამო,
ააოხრა ქართლი, დააქცია თბილისი და აურაცხელი

ქართველობა წაისხა ტყვედ. რუსეთმა ერთი წლის შემდეგ გამოგზავნა ჯარები, მაგრამ არა მის დასაცავად, არამედ საქართველოს სამეფოს გასაუქმებლად და რუსეთის პროვინციად გადასაქცევად. 1801 წ. რუსეთმა ტახტზე ასვლის ნება არ მისცა, თანახმად 1783 წ. ტრაქტატისა, ბატონიშვილ დავითს და საქართველო რუსეთის პროვინციად გამოაცხადა.



სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ

საქართველოს ტერიტორია შეიცავს 71.619 კვადრ. კილომეტრს.

საქართველოზე ნაკლები ტერიტორია აქვთ მრავალ ევროპულ სახელმწიფოებს; როგორც მაგალითად შვედეთს (34.222), ბელგიას (30.444), შვეიცარიას (41.295), დანიას (44.326) და სხ.

ადმინისტრაციული ერთეულები შეიცავენ:

ახალქალაქის მაზრა — 2.718 კვ. კილ., ახალციხის — 2.628, ბორჩალოს — 2.973, გორის — 4.722, სიღნაღის — 6.061, თელავის — 4.427, დუშეთის — 4.377, ტფილისის — 6.054. დასავლეთ საქართველოში: ლეჩხუმის მაზრა — 2.231, ოზურგეთის — 2.000, რაჭის — 2.381, სენაკის — 2.068, ზუგდიდის — 2.574, ზემო-სვანეთის — 3.024, ქუთაისის — 3.502, შორაპნის — 2.769; აფხაზეთის ს. ს. რ. — 8.111, აჭარისტანის ავტონ. ს. ს. რ. — 2.577, სამხრეთ-ოსეთის ავტონომ. ოლქი — 3.708.

მიწის უმნდვი საქართველოში შეადგენს 6.935.000 ჰექტარს. აქედან სახმარი მიწის ფართობი უდრის 5.634.000 ჰექტარს, უხმარის — 1.300.000. სახმარ მიწის ფართობი შეიცავს კარ-მიდამოებს 72.000 ჰექტ., ბაღები — 17.000, ვენახი — 37.000, სახნავ-სათესი — 1.193.000 ჰექტ., სათიბი — 102.000, ტყე — 2.468.000, საძოვარ-საბალახო — 1.744.000.

სახნავ-სათესი მიწის ფართობი ერთ სულზე მოდის საშუალოდ: ახალქალაქის მაზრაში — 1,1 ჰექტ., ახალციხის — 0,5, ბორჩალოს — 0,9, გორის — 0,7, დუშეთის — 0,7, სიღნაღის — 0,8, თელავის — 0,7, ტფი-

ლისის — 1,0, ზემო-სვანეთში — 0,2, ზუგდიდის — 0,5, ქუთაისის — 0,5, ლეჩხუმის — 0,2, ოზურგეთის — 0,4, რაჭის — 0,2, სენაკის — 0,4, შორაპნის — 0,3; აფხაზეთი — 0,4, აქარა — 0,2, სამხრეთ-ოსეთი — 0,3; საერთოდ საქართველოში — 0,5.

საბჭოთა კავშირში ერთ სულზე მოდის 1 ჰექტარი, საფრანგეთში — 1,1, გერმანიაში — 0,9, დანიაში — 0,5 და სხ.

მინერალებით საქართველო ფრიად მდიდარია, მაგრამ ეს სიმდიდრე მცირედაა გამოყენებული.

საქართველოს მარბანეცი — მსოფლიო მნიშვნელობის სიმდიდრეა, თავის დიდი რაოდენობით და მაღალი ხარისხით. მარბანეცით უფრო მდიდარია ქიათურის მიდამოები, ხოლო ის მრავალ სხვა ადგილასაც მოიპოვება.

ქვანახშირი — ტყიბულის და ტყვარჩელის მიდამოებში და აგრეთვე სხვაგანაც.

სპილენძი — გვაქვს მრავალ ადგილას.

რკინა — ჩათახის რაიონში (ბორჩალო) და კიდევ 44 ადგილას.

ნავთი — მოიპოვება 69 ადგილას.

არსებობს ჩვენში მადნები — გლაუბერის მარილის, ოზოკერიტის, ბარიტის, ინფუზორის მიწის, გრაფიტის, მარმარილოსი, ვერცხლის, ოქროს, ტყვიისა და სხ.

საქართველოში ანგარიშობენ 150 სხვადასხვა მინერალურ და სამკურნალო წყლების წყაროს. უფრო ცნობილია — ბორჯომი, აბასთუმანი, წყალტუბო, ჯეკარი, უწერა, კობი, ტფილისი, ტყვარჩელი, ახტალა, ლაშხეთი და სხ.

საქართველოს აქვს 3 მილიონ ცხენის ძალაზე მეტი **თეთრი ნახშირის** ენერჯია.

საქართველოს მოსახლეობა

საქართველოს მოსახლეობა, 1938 წ. აღწერის მიხედვით უდრის 3.542.289 სულს. შასაკის მიხედვით მთელი მოსახლეობის 38,7% არის ყმაწვილობა 15 წლამდე, 54,6% არის 15 — 60 წლამდე და 6,7% — 60 წელზე მეტი.

ეროვნების მიხედვით საქართველოს მცხოვრებთა შემადგენლობა ასეთია: ქართველობა შეადგენს — 67,2%, სომხობა — 11,5%, თურქი — 5,2, რუსი — 3,6, ოსი — 4,2, ბერძენი — 2%, ქართველი ებრაელები — 1,1%, აფხაზი — 2,1, გერმანელი — 0,4%.



საქართველო შეიცავს 2 ავტონომიურ რესპუბლიკას — აჭარა და აფხაზეთი; 1 ავტონომიურ ოლქს — სამხრეთ-ოსეთი; 28 ქალაქს, 68 სოფლის რაიონს, 7 საქალაქო რაიონს, 1.099 სოფლის საბჭოს.

ქალაქებში ცხოვრობს 1.066.560 სული, სოფლებში — 2.475.729.



იანვარი 1944

დღესასწაუ-
ლები:

| | | | | | | |
|-----------|---|---|----|----|----|----|
| ორშაბათი | — | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| სამშაბათი | — | 4 | 11 | 18 | 25 | — |
| ოთხშაბათი | — | 5 | 12 | 19 | 26 | — |
| ხუთშაბათი | — | 6 | 13 | 20 | 27 | — |
| პარასკევი | — | 7 | 14 | 21 | 28 | — |
| შაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | — |
| კვირა | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | — |

თებერვალი 1944

| | | | | | | |
|-----------|---|----|----|----|----|---|
| ორშაბათი | — | 7 | 14 | 21 | 28 | — |
| სამშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | — |
| ოთხშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | — | — |
| ხუთშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | — | — |
| პარასკევი | 4 | 11 | 18 | 25 | — | — |
| შაბათი | 5 | 12 | 19 | 26 | — | — |
| კვირა | 6 | 13 | 20 | 27 | — | — |

15 (ძველი სტი-
ლით 2): მირქმა
უფლისა ღვთისა
და მაცხოვრისა
ჩვენისა იესო
ქრისტესი.

მარტი 1944

| | | | | | | |
|-----------|---|----|----|----|----|---|
| ორშაბათი | — | 6 | 13 | 20 | 27 | — |
| სამშაბათი | — | 7 | 14 | 21 | 28 | — |
| ოთხშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | — |
| ხუთშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | — |
| პარასკევი | 3 | 10 | 17 | 24 | 31 | — |
| შაბათი | 4 | 11 | 18 | 25 | — | — |
| კვირა | 5 | 12 | 19 | 26 | — | — |

8 (ძველი სტილით 24 თებერვალი): იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთა.

აპრილი 1944

| | | | | | | |
|-----------|---|---|----|----|----|---|
| ორშაბათი | — | 3 | 10 | 17 | 24 | — |
| სამშაბათი | — | 4 | 11 | 18 | 25 | — |
| ოთხშაბათი | — | 5 | 12 | 19 | 26 | — |
| ხუთშაბათი | — | 6 | 13 | 20 | 27 | — |
| პარასკევი | — | 7 | 14 | 21 | 28 | — |
| შაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | — |
| კვირა | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | — |

7 (ძვ. სტ. 25 მარტი): ხარება ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა

9 (ძვ. სტ. 27 მარტი): ბზობა

16 (ძვ. სტ. 8): ბრწყინვალე აღდგომა ქრისტესი.

მაისი 1944

| | | | | | | |
|-----------|---|----|----|----|----|---|
| ორშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | — |
| სამშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | — |
| ოთხშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | 31 | — |
| ხუთშაბათი | 4 | 11 | 18 | 25 | — | — |
| პარასკევი | 5 | 12 | 19 | 26 | — | — |
| შაბათი | 6 | 13 | 20 | 27 | — | — |
| კვირა | 7 | 14 | 21 | 28 | — | — |

6 (ძვ. სტ. 23 აპრილი): გიორგობა, წმ. გიორგის დღეობა.
 14 (ძვ. სტ. 1): წმიდა თამარის დღეობა
 25 (ძვ. სტ. 12): ამალღება ქრისტესი.

ივნისი 1944

| | | | | | | |
|-----------|---|----|----|----|----|---|
| ორშაბათი | — | 5 | 12 | 19 | 26 | — |
| სამშაბათი | — | 6 | 13 | 20 | 27 | — |
| ოთხშაბათი | — | 7 | 14 | 21 | 28 | — |
| ხუთშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | — |
| პარასკევი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | — |
| შაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | — | — |
| კვირა | 4 | 11 | 18 | 25 | — | — |

5 (ძვ. სტ. 23 მაისი): სული წმიდის მოფენა მოციქულებზე.

ივლისი 1944

| | | | | | | |
|-----------|---|---|----|----|----|----|
| ორშაბათი | — | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| სამშაბათი | — | 4 | 11 | 18 | 25 | — |
| ოთხშაბათი | — | 5 | 12 | 19 | 26 | — |
| ხუთშაბათი | — | 6 | 13 | 20 | 27 | — |
| პარასკევი | — | 7 | 14 | 21 | 28 | — |
| შაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | — |
| კვირა | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | — |

12 (ძვ. სტ. 29
ივნისი): პეტრე-
პავლობა

აგვისტო 1944

| | | | | | | |
|-----------|---|----|----|----|----|---|
| ორშაბათი | — | 7 | 14 | 21 | 28 | — |
| სამშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | — |
| ოთხშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | — |
| ხუთშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | 31 | — |
| პარასკევი | 4 | 11 | 18 | 25 | — | — |
| შაბათი | 5 | 12 | 19 | 26 | — | — |
| კვირა | 6 | 13 | 20 | 27 | — | — |

28 (ძვ. სტ. 15).
მიძინება უოვ-
ლად წმიდისა
ღვთის მშობლი-
სა.

სექტემბერი 1944

21 (ძვ. სტ. 8):
შობა ყოვლად
წმ. დედოფლი-
სა ჩვენისა და
ღვთის მშობ-
ლისა მარიამისა.

27 (ძვ. სტ. 14):
ჯვართ ამაღლე
ბა — მსოფლიო
ამაღლება პატი-
ოსნისა და ცხო-
ველს მყოფლისა
ჯვარისა.

| | | | | | | |
|-----------|---|----|----|----|----|---|
| ორშაბათი | — | 4 | 11 | 18 | 25 | — |
| სამშაბათი | — | 5 | 12 | 19 | 26 | — |
| ოთხშაბათი | — | 6 | 13 | 20 | 27 | — |
| ხუთშაბათი | — | 7 | 14 | 21 | 28 | — |
| პარასკევი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | — |
| შაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | — |
| კვირა | 3 | 10 | 17 | 24 | — | — |

ოქტომბერი 1944

| | | | | | | |
|-----------|---|---|----|----|----|----|
| ორშაბათი | — | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამშაბათი | — | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ოთხშაბათი | — | 4 | 11 | 18 | 25 | — |
| ხუთშაბათი | — | 5 | 12 | 19 | 26 | — |
| პარასკევი | — | 6 | 13 | 20 | 27 | — |
| შაბათი | — | 7 | 14 | 21 | 28 | — |
| კვირა | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | — |

ნოემბერი 1944

| | | | | | | |
|-----------|---|----|----|----|----|---|
| ორშაბათი | — | 6 | 13 | 20 | 27 | — |
| სამშაბათი | — | 7 | 14 | 21 | 28 | — |
| ოთხშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | — |
| ხუთშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | — |
| პარასკევი | 3 | 10 | 17 | 24 | — | — |
| შაბათი | 4 | 11 | 18 | 25 | — | — |
| კვირა | 5 | 12 | 19 | 26 | — | — |

დეკემბერი 1944

| | | | | | | |
|-----------|---|----|----|----|----|---|
| ორშაბათი | — | 4 | 11 | 18 | 25 | — |
| სამშაბათი | — | 5 | 12 | 19 | 26 | — |
| ოთხშაბათი | — | 6 | 13 | 20 | 27 | — |
| ხუთშაბათი | — | 7 | 14 | 21 | 28 | — |
| პარასკევი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | — |
| შაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | — |
| კვირა | 3 | 10 | 17 | 24 | 31 | — |

4 (ძვ. სტ. 21 ნოემბერი): ტაძრად მიყვანება ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩვენისა და ღვთის მშობლისა მარიამისა.

25. ხორციელი შობა იესო ქრისტესი.

ჩემი უნიუვერსიტეტი და ცნობები წაკითხულიდან

NK 762